ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ვინ მოაჭამა ყური გამგებლის მრჩეველს

### დაპირისპირება ქარელში

ქარელის ყოფილ გამგებელ ემიკო ფეიქრიშვილსა და ამჟამინდელი გამგებლის ზაზა გულიაშვილის თანაშემწე ილია ქელეხსაშვილს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოხდა.

შემთხვევის შედეგად ქელეხსაშვილს ყური აქვს მოჭმული, ფეიქრიშვილს კი სხეულის დაზიანებები აქვს მიყენებული.

ემიკო ფეიქრიშვილი ქარელის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენელია.

მომხდარ ინციდენტზე საქმე აღძრულია და მიმდინარებს გამოძიება.

ნიუპოსტი

სამშაბათი, 22 დეკემბერი, 2015 | №300 (6920) | ფასი: 50 თეთრი

# ნუგზარ წიკლაური: „გაზაფხულიდან საპროტესტო აქციებს ვიწყებთ“



გვ.2

## მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში აპირებს ხალხის გამოყვანას





გვ.2

## მაგდა პაპიძე: „ქმარ-შვილი არ მომიკლავს“

სისხლიანი ტრაგედიის ახალი დეტალები

## ზურაბ აბაშიძე: „2016 წლის არჩევნებში მეორე ტური ყველა ოლქში იქნება“



გვ.4




## ლევან ბეჟაშვილის ცემაზე უსუფაშვილი და ბესელია წაკამათდნენ



გვ.4

## მარჯვენასაჭიანი მანქანების ბიზნესი უკვე დაზარალდა



გვ.6

## ჩირიკბა: „აფხაზეთის დამოუკიდებლობა საქართველომ უნდა აღიაროს“



გვ.5

## ნანა დევდარიანი: „ენდიაი ამერიკის სურვილებს გამოხატავს“




გვ.3

„ვიზალიბერალიზაციით მხოლოდ პოლიტელიტა ისარგებლებს“

## ჰიპერმარკეტი გორგია ამერიკის სავაჭრო პალატის საპატიო წევრი გახდა

გვ.6




## ანზორ წოწონავა: „აფხაზეთის კონსტიტუცია სასწრაფოდ შესაცვლელია“

„ფართო ავტონომიის უფლებამოსილებები უნდა გაიწეროს. ამით აფხაზებსაც დავაინტერესებთ“



გვ.5

ISSN 1987-9385

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ნუგზარ წიკლაური: „გაზაფხულიდან საპროტესტო აქციებს ვიწყებთ“

## მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში აპირებს ხალხის გამოყვანას

შორენა მარსაგიშვილი





რისთვის დაიწყო სამზადისი ნაციონალურმა მოძრაობამ, რას აპირებს სააკაშვილი უკრაინაში, რა ხრიკებს მიმართავს ხელისუფლება არჩევნების მოსაგებად? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი ნუგზარ წიკლაური ესაუბრება.

**ნუგზარ წიკლაური:**

– ხელისუფლებამ კიდევ ერთი დაპირების შესრულებაზე განაცხადა უარი. „ქართული ოცნება“ ამბობდა, რომ 2016 წელს არჩევნები რეგიონულ-პროპორციული სისტემით ჩატარდებოდა. ამის ნაცვლად კვლავ აირჩიეს მაჟორიტარული გზა, რათა უფრო მეტი კაცი გაიყვანონ პარლამენტში. ამ მიზნის მისაღწევად მათ სახელმწიფოს ინტერესი არ გაითვალისწინეს. იმის ნაცვლად, რომ მაჟორიტარები გაეუქმებინათ, ჭრა-კერვას მიჰყვეს ხელი და საარჩევნო ოლქების გათანაბრება დაიწყეს.

***– თქვენ ყველაზე მტკივნეულად ყვარლის საარჩევნო ოლქის გაუქმება აღიქვით და რაშია საქმე?***

– ყვარელი არის ილია ჭავჭავაძის სამშობლო. ჩემთვის ძალიან ძნელი წარმოსადგენია, ილიას სამშობლოს საქართველოს პარლამენტში წარმომადგენელი რომ არ ჰყავდეს. ეს არც მორალურად და არც ეთიკურად გამართლებული არ არის.

***– ყვარლის გარდა, კიდევ ბევრ რაიონს არ ექნება საკუთარი წარმომადგენელი პარლამენტში. რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთს ერთი მაჟორიტარი უნდა ჰყავდეს. თქვენი აზრით, შეძლებს ერთი ადამიანი ამდენი რაიონის მიხედვას?***

– რანაირად შეძლებს? აბსურდია ეს ყველაფერი, რასაც ხელისუფლება ამ მიმართულებით იგონებს. არჩევნები რეგიონულ-პროპორციული სისტემით უნდა ჩატარდეს. ის, ერთი მხრივ, რეგიონის კულტურულ თავისებურებებს გაითვალისწინებს, ხოლო მეორე მხრივ, პარლამენტში ცალკეული რაიონების წარმომადგენლებიც იქნებიან. ის, რაც ახლა ხდება, ამ ამბავს სავსებით გამორიცხავს.

აღმოსავლეთ საქართველოში ფშავი, ხევსურეთი, მთიულეთი, ხევი და კახეთის მთიანეთი იქნება ერთი მაჟორიტარული ოლქი. უბრალოდ წარმოუდგენელია, როგორ უნდა შეძლოს ერთმა ადამიანმა მთელი ამხელა მხარის წარმოდგენა.

ხელისუფლებამ ეს იცის, მაგრამ ამ ნაბიჯს მაჟორიტარული სისტემის შესანარჩუნებლად დგამს. ეს მახინჯი სისტემა ნებისმიერი ხელისუფლებისთვის მიმზიდველია, რადგან პარლამენტში მეტი ხმის მობილიზების საშუალებას აჩენს.

***– ამ ცვლილებების მიმართ რა დამოკიდებულება ექნება მოსახლეობას? პრივატულ საუბრებში უკმაყოფილებას ყველა აფიქსირებს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგეს, გამოვლენ ქუჩაში ამ გაუგებრობის გასათვალისწინებლად?***

– მოსახლეობის დიდი ნაწილი მხარს უჭერს მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას. 240.000 ხელმოწერა შევაგროვეთ, ამ პროცესში აქტიურად ვიყავი ჩართული და ვიცი, რა დამოკიდებულება აქვს მოსახლეობას. 500.000 ხელმოწერა რომ ყოფილიყო საჭირო, უპრობლემოდ შევაგროვებდით, ხალხს იმდენად აღარ უნდა მაჟორიტარული სისტემა.

ხელისუფლება არც ამ და არც სხვა ბევრ საკითხში ხალხის ნებას არ ითვალისწინებს, რაზეც აუცილებლად მიიღებს პასუხს. როდესაც ხელისუფლება ამომრჩევლის სურვილების იგნორირებას ახდენს, ეს, საბოლოო ჯამში, სახალხო პროტესტის სახეს იღებს. ველოდები, რომ გაზაფხულზე დიდი საპროტესტო გამოსვლები დაიწყება.

***– ბოლო ხანებში რეგიონებში ნაცმოძრაობის შეკრებები იმართება და ეს პარტიაში არსებულ დაპირისპირებას ხომ არ უკავშირდება?***

– არანაირი დაპირისპირება არ არის. ეს შეკრებები ახალი წლების შემდეგ უფრო აქტიური გახდება. ამ ეტაპზე რეგიონულ კონფერენციებს ვატარებთ. ახალი წლების შემდეგ ჩვენ მთელი საქართველოს შემოვლას ვაპირებთ. ჩვენ სერიოზულად ვემზადებით გაზაფხულისთვის.

***– ეს სამზადისი რა კავშირშია იმ პროტესტთან, რომელზეც ზემოთ ისაუბრეთ?***

– პირდაპირ კავშირშია. ჩვენ ხალხთან ერთად ამ მახინჯ ცვლილებებს აუცილებლად გავაპროტესტებთ. ხელისუფლებას არ უნდა ეგონოს, რომ ხელის გადაგრეხვით მიიღებს რაიმე გადაწყვეტილებას და ამას ჩვენი მხრიდან სახალხო პროტესტის მობილიზება არ მოჰყვება.

ნაციონალური მოძრაობა ყველა იმ ფორმას გამოიყენებს, რომელიც დემოკრატიული ბრძოლისას არის მიღებული. იცოდეს „ქართულმა ოცნებამ“, ჩვენ აქტიურად ვემზადებით გაზაფხულისთვის.

***– რამდენად აქტიურად შეძლებთ სამზადისს, თქვენი თანაპარტიელების ინფორმაციით, ბოლო ხანებში 63 ოფისი დაგირბიეს. აღდგა იქ სამუშაო პროცესი?***

– ყველა რეგიონულმა ოფისმა, მათ შორის დედოფლისწყაროს ოფისმაც, რომელიც ცეცხლსასროლი იარაღით დაცხრილეს, მუშაობა განაახლა. ჯერჯერობით მე არ მსმენია, რომ რომელიმე ფაქტი გამოძიებულია. სიმართლე გითხრათ, ამის იმედი არც მაქვს.

***– რატომ არ გაქვთ ამის იმედი?***

– იმიტომ, რომ ჩვენი ოფისების დარბევა პრემიერ-მინისტრის განცხადებით იყო წახალისებული. აქედან გამომდინარე, არც დამრბევებს გამოავლენს და დასჯის ვინმე. ხელისუფლებას კი ტყუილად აქვს იმის იმედი, რომ ასეთი ძალადობით და დარბევებით წარმატებას მიაღწევს.

ძალადობას რომ რაიმე შედეგი მოჰქონდეს, მაშინ დიქტატორული რეჟიმები მუდმივად იარსებებდნენ და მათ ვერავინ შეცვლიდა. არის ზღვარი, რომლის გადაბიჯებასაც ხალხი მთავრობას არ აპატიებს.

***– ჩვენს შემთხვევაში რა შეიძლება იყოს ზღვარი, რომლის პატიებაც არ შეიძლება?***

– მაგალითად, ხელისუფლება ფიქრობს, რომ პენსიონერისთვის 20 ლარის დამატება საკმარისია, ხოლო თავისთვის 10.000-იანი დანამატიც ეცოტავება. ეს ისეთი კოლიზია და ისეთი დაპირისპირებაა, რომ ასეთ ფონზე ვერც ერთი ხელისუფლება ვერ იქნება წარმატებული. ვაფრთხილებ „ქართულ ოცნებას“, ვერანაირი ძალადობა ვერ უშველის და მათთვისვე იქნება უკეთესი, თუ ამაზე უარს იტყვიან.

***– რაკი ძალადობაზე ვსაუბრობთ, რა შეფასებას მისცემთ დეპუტატ ლევან ბეჟაშვილზე მომხდარ თავდასხმას, რომელსაც თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს? თქვენი თანაპარტიელების ნაწილი მიიჩნევს, რომ ამის უკან ხელისუფლება დგას.***

– როდესაც ხელისუფლების რიტორიკა გესმის, როდესაც ხედავ, რომ

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## ირაკლი სესიაშვილი: „თუ ვინმეს NDI-ის კვლევების სჯერა, ე.ი. უსმენს ნაციონალურ მოძრაობას“

– თუ ვინმეს ამ კვლევების სჯერა, ე.ი ის უსმენს ნაციონალურ მოძრაობას, – ასე აფასებს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ირაკლი სესიაშვილი ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ დღეს გამოქვეყნებულ კვლევას.



**ირაკლი სესიაშვილი:**

– NDI-ის კვლევებთან მიმართებაში ჩემი დამოკიდებულება არ იცვლება. შეგიძლიათ ყოველი კვლევის შემდეგ ჩემი ინტერვიუ გაუშვათ ისე, რომ არც მკითხოთ. იმდენად, რამდენადაც ის კვლევითი ცენტრი, რომელიც უშუალოდ ატარებს ამ კვლევებს და თუ ვინმეს ამ კვლევების სჯერა, ე.ი ის უსმენს ნაციონალურ მოძრაობას, რადგან მათთან საკმაოდ ასოცირებულია ეს ორგანიზაცია.

ასე რომ, მიჭირს რაიმე სახის კომენტარი ვთქვა. მე საბოლოოდ ვენდობი იმ არჩევანს, რომელსაც ქართველი ხალხი აკეთებს და გააკეთებს.

**ინტერპრესნიუსი**

# მაგდა პაპიძე: „ქმარ-შვილი არ მომიკლავს“

## სისხლიანი ტრაგედიის ახალი დეტალები

გუშინ, 21 დეკემბერს, ქმარ-შვილის მკვლელობაში ბრალდებულ მაგდა პაპიძეს ბრალი ოფიციალურად წარუდგინეს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით, რაც დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

მაგდა პაპიძის ადვოკატ ხათუნა ჩხაიძის ინფორმაციით, ბრალდებული დანაშაულს არ აღიარებს.

მაგდა პაპიძე ამ დროისთვის მოდულის შენობაში, წინასწარი მოთავსების იზოლატორშია გადაყვანილი. აღმკვეთ ღონისძიებასთან დაკავშირებით სასამართლო დღეს იმსჯელებს.

შეგახსენებთ, რომ 20 დეკემბერს, დიღმის მასივის მიმდებარე ტერიტორიაზე 27 წლის მამაკაცი და მისი 5 წლის შვილი მოკლული იპოვეს. ცხედრები სადარბაზოს შესასვლელთან იპოვეს. მამაკაცის დაღუპვის მიზეზი თავში მძიმე საგნის ჩარტყმა გახდა, ხოლო ბავშვი გაგუდულია.



### მაგდა პაპიძეს ბრალი წაუყენეს

ადვოკატის თქმით, ბრალდებული აცხადებს, რომ მან გარდაცვლილი მეუღლე და შვილი მას შემდეგ ნახა, რაც ოჯახის წევრებს დააგვიანდათ და მათ საძებნელად გავიდა.

მაგდა პაპიძე ამბობს, რომ სახლიდან გასულმა შემთხვევით ფეხი წამოკრა მეუღლეს, რომელიც სადარბაზოსთან ნასვამ მდგომარეობაში დაცემული იყო. ამის შემდეგ მან ყვირილი დაიწყო და მეზობლებს დახმარებას სთხოვდა.

* * *

ადვოკატი ამბობს, რომ მაგდა პაპიძეს ბრალდება არც ერთხელ არ უღიარებია.

– როგორც ამბობს, მისი მეუღლე და შვილი სახლიდან გავიდნენ. მას შემდეგ კი, რაც მათ დააგვიანდათ, ტელეფონზე დაურეკა მეუღლეს, თუმცა მას ტელეფონი გამორთული ჰქონდა. როგორც ის ამბობს, ამის შემდეგ ოჯახის წევრების მოსაძებნად წავიდა. პაპიძე ამბობს, რომ მის მეუღლეს მხოლოდ გადარჩენის მიზნით შეეხო. მთხოვა მეთქვა თქვენთვის, რომ შვილის გადარჩენა უნდოდა და მის საავადმყოფოში წაყვანას ცდილობდა. დაკავების მომენტიდან მაგდა პაპიძეს არასდროს უღიარებია წარდგენილი ბრალდება, – განაცხადა ადვოკატმა ხათუნა ჩხაიძემ.

როგორც ის ამბობს, მაგდა პაპიძის ინფორმაციით, მის მეუღლეს პრობლემები ჰქონდა, რომლებიც ვალებთან იყო დაკავშირებული.

რაც შეეხება ნივთმტკიცებად ამოღებულ ჩაქუჩს, ადვოკატის თქმით, პაპიძე ამბობს, რომ ჩაქუჩი შეძენილი იყო სათავსოში ჭერის შეკეთების მიზნით.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნანა დევდარიანი: „ენდიაი ამერიკის სურვილებს გამოხატავს“

## „ვიზალიბერალიზაციით მხოლოდ პოლიტელიტა ისარგებლებს“

ნონა ცაბაძე

გუშინ გამოქვეყნებულ ენდიაის კვლევებს შეფასებები როგორც პოლიტიკურ, ისე ექსპერტულ წრეებში მოჰყვა. გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი ნანა დევდარიანი მიიჩნევს, რომ ენდიაის კვლევებში მოულოდნელი არაფერია.

– პირველი კვლევა არ არის, როდესაც მესამე ძალად თავისუფალ დემოკრატებს წარმოგვიჩენს ხოლმე ენდიაი და იქვე ნახავთ, რომ ბურჯანაძეს, პატრიოტთა ალიანსს და ლეიბორისტებს თანაბრად დაუსვეს 3-4%, – აცხადებს ნანა დევდარიანი „ახალ თაობასთან“ საუბარში.

***– ეს არ ასახავს რეალობას?***

– რასაკვირველია, არ ასახავს! არანაირი სოციოლოგიური კვლევა არ შეედრება ბოლო არჩევნების შედეგებს და ბოლო არჩევნების შედეგებით, ბურჯანაძეს ჰქონდა 11%-ზე მეტი, პატრიოტთა ალიანსს – 8%-ზე მეტი და ლეიბორისტებს, შედეგი საერთოდ არ ჰქონდათ. აი, ამ ძალების გათანაბრებას ცდილობენ ერთ კოლოფში.

***– ვის სჭირდება ეს ყველაფერი?***

– ეს არის ამერიკის შეერთებული შტატების სურვილი, რომ ასეთი კონფიგურაცია დალაგდეს პარლამენტში. პირველი ადგილი „ოცნებას“, მაგრამ იმდენი არა, რამდენიც ახლა აქვთ, მერე ნაციონალური მოძრაობა და თავისუფალი დემოკრატები, მაგრამ არ გამოუვათ ეს ასე!

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ განწყობებით და ბოლო არჩევნების შედეგებით, თვითონაც მშვენივრად იციან, რა არის და როგორ არის.

***– თუმცა იმაზეც ყველა თანხმდება, რომ „ოცნების“ რეიტინგი საგრძნობლად დაეცა.***

– კი, დაეცა, მაგრამ იმ ზომამდე ნამდვილად არ დაცემულა, როგორც ამას ენდიაის კვლევა აჩვენებს. საერთოდ, ხელისუფლებაში მოსული ნებისმიერი ძალის რეიტინგი ორი-სამი წლის მერე ეცემა, ეს ბუნებრივი პროცესია, მაგრამ ასეთი დაცემა ნამდვილად არ ჩანს, როგორსაც ენდიაის კვლევა გვაჩვენებს. თუ მიაქციეთ ყურადღება, ძალიან საინტერესო პუნქტი გამოჩნდა ამ კვლევაში.




***– რომელ პუნქტს გულისხმობთ?***

– პირველად ენდიაიმ ჩასვა ასეთი რამ კითხვარში: დაცულად გრძნობთ თუ არა თავს, როცა პოლიტიკურ საკითხებზე საუბრობთ ტელეფონით. მსგავსი არასოდეს არაფერი ჩაუსვამთ, როცა ტოტალური მოსმენები იყო. რატომღაც ახლა გაახსენდათ ეს საკითხი. რუსთავი 2-ის დევნა პოლიტიკური მოტივებით ხდება თუ არ ხდება, ესეც ახლა გაახსენდათ, მაშინ, როცა რამდენიმე კომპანია და უამრავი ბეჭდური მედიის რედაქციები და ტელევიზიები დაპრესილი ჰყავდა წინა ხელისუფლებას. მაშინ რატომ არც ერთხელ არ ჩაწერეს კითხვარში, მედია იდევნება, თავისუფალია თუ პოლიტიკური წნეხის ქვეშ არისო.

***– ეს ყველაფერი დაკვეთილია?***

– დაკვეთილი კი არა, ეს ყველაფერი პირდაპირ გამოხატავს ამერიკელების განწყობას, როგორ უნდათ დაინახონ პროცესები საქართველოში. ეს პირდაპირი და მკვეთრი მესიჯებია, რომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასე კარგი იქნებოდა. თურმე მაშინ არავინ გვისმენდა, დემოკრატიის ოაზისი იყო, ახლა თურმე ყველას გვისმენენ, ხალხო! თვით ენდიაი შეშფოთდა. უკვე ცუდი ტონიც კია ამაზე ლაპარაკი.

***– ანუ უთითებენ „ოცნებას“, რომ მას უმრავლესობა აღარ ექნება? თუ რა გვაჩვენა ამ კვლევებმა?***

– მათ მშვენივრად იციან, რომ „ქართული ოცნება“ გავა პირველ ადგილზე, მაგრამ არა ისეთი უპირატესობით. თუმცა იმაზეც მიანიშნებენ, რომ პარლამენტში მეორე, მესამე პოზიციები ნაციონალურმა მოძრაობამ და თავისუფალმა დემოკრატებმა უნდა გაიყონ.

***– რა ბედის ელის არასაპარლამენტო ოპოზიციას? ვერავინ ხედავს მათ ადგილს პარლამენტში?***

– ეს სამი ძალა თანაბარი შედეგით რომ დასვეს ამ გამოკითხვაში, ამით მიანიშნებენ, რომ მათ ერთი და იგივე პოლიტიკური წონა აქვთო. ამ პარტიებისთვის მიცემული 3% იმას ნიშნავს, რომ ბურჯანაძემ და პატრიოტთა ალიანსმა საერთოდ ვერ უნდა გადალახოს ბარიერი. ამის გაკეთება როგორ შეიძლება ხელოვნურად, ეს საგარეჯოში ვნახეთ, მაგრამ არა მგონია, რომ ეს ჩვენმა ამომრჩეველმა მიიღოს.

***– „ოცნება“ რამდენად მოხიბლული დარჩება ამ ვითარებით?***

– რა თქმა უნდა, კმაყოფილი არ იქნება, მაგრამ მათ აქვთ ჯოკერი და ამ ჯოკერის თაობაზე გაცხადდა უკვე. არაერთხელ მითქვამს, რომ ბიძინა ივანიშვილი ისევ ჩაუდგებოდა სათავეში „ქართულ ოცნებას“.

***– ანუ მათი ჯოკერი ივანიშვილია?***

– დიახ, მათი ჯოკერი ივანიშვილია.

***– შეიცვლება რამე 2016 წლის არჩევნებამდე?***

– საერთოდ, არჩევნებამდე ერთ წელზე ნაკლები რომ არის დარჩენილი და მაშინ რომ იქმნება რაღაც პოლიტიკური ჯგუფები, ძალიან რთულია, ასეთ მოკლე ხანში რაიმე მოასწრო, მაგრამ პოლიტიკური პროცესი ისეა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი. არავის შეუძლია წინასწარ განჭვრიტოს, რა შეიძლება მოხდეს და თუ კრიტიკული სიტუაცია შეიქმნა, რას მოიმოქმედებენ ახლად შექმნილი პოლიტიკური ძალები. თანაც ყოველთვის არსებობს კოალიციების შექმნის შანსი. ვინ ვისთან შევა კოალიციაში, ამას გვაჩვენებს მომავალი წლის პირველი თვეები.

***– ამ წლის საუკეთესო მოვლენად შეფასდა ვიზალიბერალიზაციის საკითხი. მართლაც რამდენად წარმატებული იყო ქვეყნის პოლიტიკა საგარეო კუთხით?***

– თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მუდმივად იღებს „ქართული ოცნება“ დარტყმებს ქვეყნის გარედან, ძალიან წარმატებულად ჯერჯერობით ვერ შეფასდება. რაც შეეხება ვიზალიბერალიზაციას, ეს წრეგადასული ზეიმი და მილოცვები ცოტა ნაადრევია. ეს ყველაფერი არ ნიშნავს, რომ საქართველოს მოქალაქეები ხვალიდან და ზეგიდან ევროპაში უვიზოდ ივლიან.

***– აბა რას ნიშნავს ეს ყველაფერი?***

– მე ადრეც მითქვამს, რომ ეს არის მოსახლეობის გარკვეული კატეგორიისთვის შერბილებული რეჟიმი, როდესაც ჩადიხართ და საზღვარზე გიფორმდება ვიზა. ვილაცისთვის ეს გამარტივებაა, ვინც ისედაც თვეში ორჯერ-სამჯერ დადიოდა. რიგითი მოქალაქისთვის კი ეს ბევრს არაფერს ცვლის. როდესაც მიდიხარ, ორმხრივი ბილეთი ხელზე უნდა გქონდეს, თუ შეგიშვებენ, მხოლოდ 90 დღით, ამ ხნის განმავლობაში შენ არც სწავლის უფლება გაქვს და არც – მუშაობის.

***– რისთვის უნდა წახვიდე?***

– იქ უნდა წახვიდე, ისეირნო და ფული დახარჯო. ფული კი უნდა გქონდეთ ან ხელზე, ან დეპოზიტზე და უნდა დაადასტურო მისი წარმომავლობა. რამდენი გეგულებათ საქართველოს მოქალაქეებში, პოლიტიკური ელიტის გარდა, რომ ამ ყველაფრის საშუალება ჰქონდეს?! არა მგონია, პოლიტიკური ელიტის გარდა, ვინმეს შეეხოს ეს ვიზალიბერალიზაცია!



# ზურაბ აბაშიძე: „2016 წლის არჩევნებში მეორე ტური ყველა ოლქში იქნება“

ნათია ხურცილავა






თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ აბაშიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ენდიაის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევები ამომრჩეველში დღეს არსებულ ადეკვატურ განწყობებს ასახავს.

**ზურაბ აბაშიძე:**

– ჩვენ დავდივართ რეგიონებში, ვხვდებით ხალხს, ვისმენთ მათ განწყობებს და მაქვს განცდა, რომ მაქსიმალურად ასახავს ენდიაის ეს კვლევები არსებულ რეალობას მცირეოდენი ცდომილებით, რომელიც ყველა კვლევას თან ახლავს.

***– ამ მონაცემებით არცთუ სახარბიელო პოზიციები აქვს თავისუფალ დემოკრატებს. რამდენად არის თქვენთვის ეს პროცენტული მაჩვენებელი დამაიმედებელი?***

– ჩვენი პროცენტული მაჩვენებელი წინა კვლევებთან შედარებით ორჯერ არის გაზრდილი. ეს არის ჩვენი მუშაობის შედეგი. ასევე ნათლად ჩანს ამ კვლევებში, რომ თავისუფალ დემოკრატებს გვაქვს პოტენციალი, რომ ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გავზარდოთ.

***– როგორ?***

– არჩევნებამდე ჯერ ერთი წელია დარჩენილი და წინასაარჩევნო კამპანია თავისი სრული დატვირთვით არ დაწყებულა. ყველაზე მაღალი პოტენციალი ჩვენ გვაქვს, რომ ამომრჩეველი მივიმხროთ.

***– თქვენი რეიტინგი მზარდია?***

– დიახ, ჩვენი რეიტინგი რომ მზარდია, ეს აშკარაა და ამას დრო გვიჩვენებს. ახალი კვლევები გაზაფხულზე დაიდება და ამას ყველანი ერთად ვნახავთ. გამოკითხვებმა გვიჩვენა, რომ ხალხს ნაციონალური მოძრაობის დაბრუნება არ სურს. რეიტინგის მკვეთრი ვარდნა აქვს „ქართულ ოცნებას“. ამ კვლევებით ჩვენ პირველ ადგილზე არ ვართ, მაგრამ ჩვენი პოტენციალი იზრდება.

***– ძალიან დიდია იმ ადამიანების რიცხვი, დაახლოებით 60%, ვისაც ჯერ არ აქვს გადაწყვეტილი, რომელ პარტიას მისცემს ხმას. ელექტორატის ამ ნაწილზე აპირებთ მუშაობას?***

– ჯერ არ აქვთ ადამიანებს გადაწყვეტილი, ვის მისცენ ხმა, მაგრამ არის დასმული კითხვა: მისცემდნენ თუ არა ხმას თავისუფალ დემოკრატებს? ამ არჩევანში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სწორედ ჩვენს პარტიას აქვს. 2016 წლის არჩევნებში თავისუფალ დემოკრატებს დიდი პოტენციალი გვაქვს, რომ მაღალი შედეგი დავდოთ. ამ ფონზე შეუძლებელია, არ ვახსენო საარჩევნო კოდექსი, რომელიც ხელისუფლებამ მეორე მოსმენით უკვე მიიღო.

***– მიუღებელია ეს საარჩევნო კანონმდებლობა თქვენთვის?***

– სრულიად მიუღებელია. ყველაზე ცუდ სიზმარშიც კი არ ვისურვებდი ამ საარჩევნო კოდექსს, მაგრამ ეს რეალობაა. ამ კანონმდებლობით გაუჭირდება თავად ხელისუფლებას, რომ არჩევნები ჩაატაროს. ერთადერთი ნათელი წერტილი არის 50%-იანი ბარიერი, რომელიც იძლევა დიდ შანსს, რომ მეორე ტური იყოს. მიუხედავად ამისა, ეს სისტემა, როგორც წინა, კრიტიკას ვერ უძლებს.

***– ყველაზე კარგი ვარიანტი რა იქნებოდა?***

– ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი იქნებოდა სამხარეო, რეგიონალურ პროპორციულ სიებზე გადასვლა, რასაც ხელისუფლება 2020 წლისთვის გვთავაზობს. არადა, ამის გაკეთება დღესვე შეიძლებოდა.

***– არჩევნების მეორე ტურს ელოდებით?***

– მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბევრ საარჩევნო ოლქში მეორე ტური გარდაუვალი იქნება და ჩატარდება კიდეც. 50%-იანი ბარიერის გადალახვის შანსი ამ ვითარებაში პრაქტიკულად არც ერთ პარტიას არ აქვს.

***– არც სახელისუფლო კოალიციას?***

– არც სახელისუფლო კოალიციას. თბილისში მეორე ტური ოლქების 99%-ში ჩატარდება.

***– თუ ასე განვითარდება მოვლენები, არა თუ საკონსტიტუციო უმრავლესობის, არამედ ჩვეულებრივი უმრავლესობის მოპოვება უნდა გაუჭირდეს ხელისუფლებას.***

– სავსებით რეალურია ეს ვარიანტი და სწორედ ეს ჩანს ამ კვლევებიდან და ამის შესაძლებლობას იძლევა 50%-იანი ბარიერი. საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებაზე საუბარი გამორიცხულია. რაც შეეხება ჩვეულებრივ უმრავლესობას, რომელიც საჭიროა მთავრობის დასაკომპლექტებლად, ამ შემთხვევაშიც მაქვს განცდა, რომ ესეც ძალიან გაუჭირდება „ქართულ ოცნებას“.

***– რატომ? წინასაარჩევნო კამპანია ჯერ წინ არის.***

– ხელისუფლებას, ცხადია, წინ აქვს წინასაარჩევნო კამპანიის დაგეგმვისა და განხორციელების დრო, მაგრამ არც სხვები აპირებენ მოდუნებას. მთავრობის დასაკომპლექტებლად საჭიროა 76 ხმა და პირველ ტურში მე ასეთ ალბათობას გამოვრიცხავ. მე არ მგონია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ პროპორციულ არჩევნებში მაღალი მაჩვენებელი მიიღოს. ეს აშკარაა კვლევებითაც, ბუნებრივია, წინასაარჩევნო კამპანია თავის როლს ითამაშებს, მაგრამ იმის შემდეგ, რაც მაჟორიტარული არჩევნები ჩატარდება, ძალიან გამიჭირდება იმის თქმა, რომ მათ აბსოლუტური უმრავლესობა ექნებათ პარლამენტში.

***– თუ ასე განვითარდება მოვლენები, თანამშრომლობა მოგიწევთ მთავრობის დასაკომპლექტებლად კოალიციასთან. ამაზე მსჯელობა თუ გქონდათ პარტიაში?***

– ამაზე ზოგადი მსჯელობა გვაქვს, მაგრამ ჩამოყალიბებული პოზიცია ჩვენი პარტიის მხრიდან ჯერ არ გახმოვანებულა. არჩევნების შემდეგ გამოჩნდება, რა კონფიგურაცია იქნება პარლამენტში და იქიდან გამომდინარე მივიღებთ გადაწყვეტილებასაც.

# ნუგზარ წიკლაური: „გაზაფხულიდან საპროტესტო აქციებს ვიწყებთ“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ძალადობა დაუსჯელია, როდესაც ხედავ, რომ შერჩევითი სამართალია, ვიღაცა თავისი ინიციატივით სჩადის დანაშაულს. ძალადობის ზოგიერთი ფაქტი ხელისუფლების პირდაპირი დავალებით არის განხორციელებული, ზოგიერთი კი ხელისუფლების არაჯანსაღი რიტორიკის გამოძახილია.

ლევან ბეჟაშვილთან დაკავშირებულ საქმეს რა ბედი ეწევა, ვერ გეტყვით, ჩვენს რამდენიმე კოლეგაზე განხორციელებული თავდასხმისთვის პასუხი არავისთვის მოუთხოვიათ. ნებისმიერ შემთხვევაში ლევანზე განხორციელებულ თავდასხმაზე პასუხისმგებლობა „ქართულ ოცნებას“ ეკისრება.

ხელისუფლება ნებისმიერ პრობლემაზე პასუხისმგებლობის აღებას გაურბის. მოსახლეობა ხედავს, რომ „ქართული ოცნების“ დეპუტატები საკუთარი ცხოვრების მოწყობით არიან დაკავებული. ამ შემთხვევაში ხალხი გადადის უფრო აქტიურ მოქმედებაზე და საჯარო პროტესტს მიმართავს, ასეთი ვითარება იქნება გაზაფხულზე და ამას დარწმუნებით გეუბნებით. ჩვენ საპროტესტო აქციებსაც დავგეგმავთ და მათში აქტიურ მონაწილეობასაც მივიღებთ.

***– საპროტესტო ტალღის აგორებას სააკაშვილის გარეშე შეძლებთ? მას საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა და უკრაინაშიც სერიოზული პრობლემები აქვს.***

– სააკაშვილი იყო, არის და იქნება ჩვენი პარტიის ლიდერი. ყოველდღიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება ნებისმიერი პარტიის ლიდერისთვის არის რთული. სამაგიეროდ, ჩვენი პარტიის პოლიტსაბჭო მუშაობს ძალიან აქტიურად. ადგილობრივი ორგანიზაციები ხშირ შემთხვევაში თავად იღებდნენ გადაწყვეტილებას, თუ რა უნდა გაკეთებულიყო ადგილებზე. ასე რომ, ნაცმოძრაობა ძალიან აქტიური და სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა.

რაც შეეხება მნიშვნელოვან და პრინციპულ საკითხებს, ამას ისევ მიხეილ სააკაშვილთან ვათანხმებთ. მერე რა, რომ პოლიტიკური ნიშნით მას საქართველოს მოქალაქეობა წაართვეს, ყველა მთავარ საკითხზე მასთან გავივლით კონსულტაციებს და გადაწყვეტილებასაც მასთან ერთად მივიღებთ.

***– მას შემდეგ, რაც მოქალაქეობა ჩამოართვეს, თუ გქონდათ სააკაშვილთან საუბარი?***

– რა თქმა უნდა. მასთან დღესაც ხშირი კონტაქტი გვაქვს. ექნება თუ არა მას მოქალაქეობა, ის მაინც აქტიურად ჩაერთვება ნაციონალური მოძრაობის საქმიანობაში.

***– ბოლოს როდის ესაუბრეთ მას?***

– 20 დეკემბერს გვიან საღამოთი დავურეკე და დაბადების დღე მივულოცე. ამის გარდა, ხანმოკლე საუბარიც გვქონდა.

***– თქვენ ამბობთ, რომ მოქალაქეობის ჩამორთმევის მიუხედავად, მაინც აქტიურად მონაწილეობს პარტიულ საქმეებშიო, მაგრამ უკრაინაში მას სერიოზული წინააღმდეგობები შეხვდა და მოიცლის თქვენთვის?***

– უკრაინაში მისთვის და არამარტო მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება. ამ დღეებში უკრაინაში დიდი სახალხო გამოსვლები იქნება, რომელთაც მიხეილ სააკაშვილი ჩაუდგება სათავეში. მე ვფიქრობ, რომ ის დღეს დემოკრატიული ფრონტის უპირობო ლიდერია.

უკრაინაში ჩატარებული გამოკითხვებით, ის ყველაზე რეიტინგული ფიგურაა. ამ ფრონტზე მისი გამარჯვება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# შალვა აბულაძეს უვადო პატიმრობა მიესაჯა



ორი პოლიციელის მკვლელობაში ბრალდებულ შალვა აბულაძეს ახალციხის რაიონულმა სასამართლომ უვადო პატიმრობა მიუსაჯა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ აბულაძის ადვოკატმა შალვა ხაჭაპურიძემ განუცხადა, აბულაძეს თავდაპირველად ბორჯომსა და თბილისში ორი პოლიციელის მკვლელობა ედებოდა ბრალად, თუმცა ბორჯომის ეპიზოდში ბრალდება გადაუკვალიფიცირდა და მკვლელობის მცდელობა დაედო ბრალად.

მოსამართლე გოჩა ჯეირანაშვილის გადაწყვეტილებით, აბულაძეს უვადო პატიმრობა თბილისში, პოლიციელის ბექა მარგიშვილის მკვლელობის ბრალდებით მიესაჯა. ასევე აბულაძეს ბრალად დაედო 4 პოლიციელის მკვლელობის მცდელობა.

ადვოკატი განაჩენს ვენდეტას უწოდებს.

მისი თქმით, აბულაძე წარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულოა და მის მიმართ შურისძიება განხორციელდა.

შალვა ხაჭაპურიძის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ დარღვეულია სამართლიანი სასამართლოს უფლება.

ადვოკატის ინფორმაციით, არც თვითონ და არც უკვე მსჯავრდებული აბულაძე არ დასწრებიან სასამართლო პროცესს.

– განხილვები 1 თვის წინ, უსამართლობის გამო, პროტესტის ნიშნად დავტოვეთ და საქმეში ჩართეს სახაზინო ადვოკატი. ეს არის უპრეცედენტო განაჩენი. 1 ადამიანის მკვლელობის გამო, სამუდამო პატიმრობის მისჯის მეორე მაგალითი არ არსებობს, – განაცხადა შალვა ხაჭაპურიძემ.

მისი ინფორმაციით, უვადო პატიმრობის შესახებ ახალციხის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას შალვა აბულაძეს გააცნობს სასჯელაღსრულების №7 დაწესებულებაში.

შალვა ხაჭაპურიძე ამბობს, რომ ჯერ უცნობია, გასაჩივრდება თუ არა ახალციხის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

# ლევან ბეჟაშვილის ცემაზე უსუფაშვილი და ბესელია წაკამათდნენ



კიევიდან დაბრუნებულ უმცირესობის დეპუტატ ლევან ბეჟაშვილს აეროპორტში ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

რუსთავი 2-ის ინფორმაციით, 20 დეკემბერს, გვიან ღამით, მგზავრთა გამოსასვლელთან ბეჟაშვილს რამდენიმე პირი დაუპირისპირდა. სამართალდამცველებმა ინციდენტის ორი მონაწილე შემთხვევის ადგილზე დააკავეს.

ბეჟაშვილი აეროპორტიდან ორთაჭალაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში დაკითხვაზე გადაიყვანეს. ფაქტზე გამოძიება ცემის მუხლით დაიწყო.

– მოხდა ფიზიკური თავდასხმა, შეხლა-შემოხლა. პოლიტიკურ ლიდერებზე თავდასხმა ხდება, რაც წახალისებულია ხელისუფლებისგან. არაფერი კეთდება იმისთვის, რომ ქვეყანაში სტაბილურობა იყოს. ეს ფაქტი ბევრად უფრო მძიმეა, ვიდრე რუსთავი 2-ის მხარდამჭერ აქციაზე ქუთაისში ბიჭების დაკავება, – განაცხადა ლევან ბეჟაშვილმა.

ამ საკითხზე გუშინ, 21 დეკემბერს, ბიუროს სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ იკამათეს.

დავით უსუფაშვილმა აღნიშნა, რომ მსგავსი შემთხვევების დროს პარლამენტმა პრინციპული პოზიცია უნდა დააფიქსიროს.

– მინდა ყველას გთხოვოთ, რომ ამ ტიპის მოვლენებისადმი შევძლოთ ვიყოთ პარლამენტი და არა ის ფრაქცია, ეს ფრაქცია და ვინ რას იმსახურებს ცხოვრებაში, – აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

ამის შემდეგ ეკა ბესელიამ უსუფაშვილს სთხოვა, რომ პრინციპულობა გამოიჩინოს პარლამენტმა მაშინაც, როდესაც დეპუტატების და კონკრეტულად მის წინააღმდეგ ოპონენტების მხრიდან უსაფუძვლო ბრალდებები ისმის.

– არ არის აუცილებელი, ვიღაცას თავში მოხვდეს. შეიძლება სიტყვას გაცილებით მძიმე შედეგი მოჰყვეს. ამიტომ მე მგონია, რომ ჩვენ ასეთივე თანმიმდევრული და კრიტიკული პოზიცია უნდა გვქონდეს, როდესაც ნებისმიერი ჯგუფის და ოპონენტის მხრიდან პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიმართ ხდება ისეთი დაუშვებელი და ამაზრზენი შეტევა, რისი მოწმეებიც ბოლო პერიოდში ვართ, – განაცხადა ეკა ბესელიამ, რის შემდეგაც მან ბიუროს სხდომის დატოვება გადაწყვიტა.

ამაზე უსუფაშვილმა ასეთი რამ თქვა:

– იქნებ ერთი წუთი დაგველოდოთ, არ დაგვისრულებია მუშაობა. არასწორად გეგონათ არა მხოლოდ ეს და მათ შორის ის, თუ ვინ პრინციპულ პოზიციას აფიქსირებს და ვინ – არა. პრინციპული დამოკიდებულებაა ყველაფერთან დაკავშირებით აუცილებელი. თუ რომელიმე თქვენგანს გაქვთ რაიმე სათქმელი, რომ რაიმე საკითხთან დაკავშირებით უპრინციპო პოზიცია დავიკავე, ეს ცოტა უკეთ განმიმარტოთ იქნებ. თქვენ გვიწუნებთ არა უპრინციპობას, არამედ მეტი პრინციპულობისკენ მოგვიწოდებთ.

# ანზორ წოწონავა: „აფხაზეთის კონსტიტუცია სასწრაფოდ შესაცვლელია“

## „ფართო ავტონომიის უფლებამოსილებები უნდა გაიწეროს. ამით აფხაზებსაც დავაინტერესებთ“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს ახლანდელმა ხელისუფლებამ გარკვეული ხნის წინ სოხუმს შეუთვალა, რომ აფხაზეთს ექნება ფართო ავტონომია საქართველოს შემადგენლობაში. თუმცა, ყველაფერი ამ ზეპირი განცხადებით შემოიფარგლა.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარე ანზორ წოწონავა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ავტონომიის უფლებები კანონმდებლობაში უნდა აისახოს. ამისათვის, პირველ რიგში, ძირეულად შესაცვლელია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია. ეს დოკუმენტი 1978 წელსაა მიღებული და იმ დროიდან მოყოლებული, მასში, საბჭოთა სიმბოლიკის ამოღების გარდა, სხვა გარდაქმნა არ მომხდარა.

***— რა უშლის ხელს, რომ თქვენმა უმაღლესმა საბჭომ შეცვალოს აფხაზეთის კონსტიტუცია?***

— განსაკუთრებულად არაფერი. ამ ხელისუფლების პირობებში ამ საქმეში გარედან ხელს არ შეგვიშლიან. პრობლემა მდგომარეობს სხვა რამეში – უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, უბრალოდ, მორიდებული პოზიცია უკავია.

***— ეს რითი აიხსნება?***

— ეს იმით აიხსნება, რომ ბევრი საკითხი ცენტრალური ხელისუფლების გადასაწყვეტად ითვლება. ამის გამო ფერხდება უმნიშვნელოვანესი პროცესები. მათ შორის, ჭიანურდება აფხაზეთის სტატუსის, აფხაზეთის ფართო ავტონომიის უფლებების ასახვა. ამით აფხაზებსაც დავაინტერესებთ. კონსტიტუციაში ნახევარი უნდა დაეთმოს ჩვენს საქმიანობას დევნილობაში და ნახევარი – გარდამავალ დებულებებს იმის შესახებ, თუ რა და როგორ მოხდება მაშინ, როცა აფხაზეთის რეგიონი საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნდება. უმაღლეს საბჭოში სხვა საკითხებზეა უთანხმოება.

***— რომელ საკითხებზე ვერ თანხმდებით?***

— კანონმდებლობაში გასაწერია ასევე აფხაზეთის მთავრობის დამტკიცების პროცედურა, სხვა თემები. არიან დეპუტატები, რომლებიც თვლიან, რომ მთავრობის დასამტკიცებლად ხმათა ორი მესამედია აუცილებელი. ჩემი აზრით, ეს პოზიცია არასწორია. სერიოზულ პრობლემას გვიქმნის ის, რომ საქართველოს კონსტიტუციაში ფაქტობრივად არაფერია ნათქვამი ცენტრსა და რეგიონებს შორის უფლებამოსილებების გადანაწილებაზე. ამის გამო საქართველოს კონსტიტუცია გახდა უგუნური მიდგომის მსხვერპლი.



***— აჭარის ავტონომიაზე ხომ არის საუბარი კონსტიტუციაში?***

— ესეც საინტერესო საკითხია. რეალურად, აჭარას იმაზე ბევრად ნაკლები უფლებები აქვს, ვიდრე ავტონომიას უნდა ჰქონდეს. ამიტომ აჭარასთან დაკავშირებული მუხლები დაიწუნა ვენეციის კომისიამ. საქართველოს კონსტიტუციაში სხვა ხარვეზებიცაა. წესით, ის ორპალატიანი უნდა იყოს. ჩვენთვის მტკივნეულია, რომ საქართველოს შეცვლილი ახლანდელი კონსტიტუცია აღარ ითვალისწინებს მანდატებს აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპირებული რეგიონებისთვის. როცა პარლამენტი 235-ადგილიანი იყო, მაშინ ამ რეგიონებს 12 მანდატი გვქონდა. აქედან 8 – აფხაზეთს. ასეთი უსამართლო გადაწყვეტილებით სააკაშვილის ხელისუფლებამ უარი თქვა ამ მხარეებზე.

***— რატომ გგონიათ, რომ აფხაზურ მხარეს ამ ახალი ცვლილებებით დააინტერესებთ?***

— არ ვამბობ, რომ აფხაზეთის უფლებამოსილებების გაწერით აფხაზები კისრისტეხით ჩვენკენ გამოექანებიან, მაგრამ ისინი ამით დაინტერესდებიან. სამომავლოდ შეიძლება დავაკანონოთ აფხაზეთში თავისუფალი ეკონომიკური ზონა. ხაჯიმბას პრეზიდენტად მოსვლის შემდეგ აფხაზეთში დაიწყო სრული რუსიფიკაცია. აფხაზური სკოლებიც კი აღარაა. ქართულ სკოლებზე ლაპარაკიც ზედმეტია. არ არის დემოკრატია, ეკონომიკური განვითარება. აფხაზეთი გადაიქცა დამნაშავეების თავშესაფრად.

აფხაზები უკმაყოფილო არიან იმით, რომ ვერ მიდიან დასავლეთის ქვეყნებში, რომ შვილებს ვერ აძლევენ განათლებას ევროპის უნივერსიტეტებში. ჩვენ უნდა შევთავაზოთ მათ ფართო ავტონომია, რომელიც მათ თვითმყოფადობას შეუნარჩუნებს. საერთოდ, აფხაზეთის კონსტიტუცია სასწრაფოდაა შესაცვლელი. ეს სჭირდება თბილისსაც და სოხუმსაც.

# ჩირიკბა: „აფხაზეთის დამოუკიდებლობა საქართველომ უნდა აღიაროს“

## რას დაჰპირდა დამასკო სოხუმს

შორენა მარსაგიშვილი

აფხაზეთის ხელისუფლება მათი დამოუკიდებლობის მაღიარებლების მოძიებით არის დაკავებული. სოხუმის მორიგი სამიზნე სირიაა. ეტყობა, ამ მიმართულებით რუსეთი მუშაობს. ცოტა ხნის წინ „ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ სირიამ ცხინვალს მისცა დამოუკიდებლობის აღიარების საკითხის განხილვის პირობა.

ეს პირობა სამხრეთელმა ოსებმა რუსეთის ფედერაციაში სირიის საელჩოში მიიღებს. აფხაზებმა იფიქრეს, თქვენზე ნაკლებები რითი ვართო და ყველაფერი გააკეთეს, რომ თავიანთი სირიული ვნებები დაეკმაყოფილებინათ.

ამ დღეებში აფხაზთა საგარეო საქმეთა მინისტრი მოსკოვში რუსეთის საელჩოს ეწვია და სირიელთა დესპან რიად ხადადისთან გამართა აუდიენცია.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ აფხაზთა მთავარმა დიპლომატმა განაცხადა, მხარეებმა აფხაზურ-სირიული თანამშრომლობის გაღრმავებაზე ისაუბრეს.

— რა თქმა უნდა, ამჟამინდელ პირობებში, როდესაც ომი მიმდინარეობს, ბევრი ასპექტი რთულად განსახორციელებელია. თუმცა, მიუხედავად ამისა, ორივე მხარემ სირიულ-აფხაზური ურთიერთობების გაღრმავების სურვილი დააფიქსირა, – აღნიშნა მედიასთან საუბარში აფხაზური დიპლომატიის მამამ.

პრინციპში აფხაზებსა და სირიელებს კავშირების გაღრმავებაზე ფიქრი დიდად არ სჭირდებათ. სირიაში აფხაზებს საკმაოდ მძლავრი დიასპორა ჰყავთ. ამ დიასპორის წარმომადგენლები აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებებისას აქტიურად იბრძოდნენ საქართველოს წინააღმდეგ.

რამდენიმე მათგანი ახლა აფხაზეთში ცხოვრობს, ისინი ისტორიულ სამშობლოში მას შემდეგ დაბრუნდნენ, რაც სირიაში საომარი მოქმედებები დაიწყო.

დღეის მონაცემებით, აფხაზეთში სირიიდან რამდენიმე ასეული ადამიანი ჩამოვიდა. მათი ნაწილი უკვე იღებს ფულად დახმარებას, ბავშვები კი აფხაზურ სკოლებსა და საბავშვო ბაღებში გადაანაწილეს. აფხაზური მედიის ინფორმაციით, აფხაზური ენა არც ერთმა მათგანმა არ იცის.



აფხაზები სირიიდან ჩამოსახლებულებს უნდობლად უყურებენ. ეს უნდობლობა 13 ნოემბერს პარიზში მომხდარი ტერაქტების სერიის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა.

ამის მიუხედავად, აფხაზები უარს არ ამბობენ სირიიდან გამოქცეულთა ახალი ნაკადის მიღებაზე. მით უმეტეს ახლა, როცა სირიისგან დამოუკიდებლობის აღიარებას ელოდებიან.

— ჩვენ აქტიურად ვითანამშრომლებთ. მიგვიყვანს თუ არა ეს საბოლოოდ სირიის მიერ აფხაზეთის აღიარებამდე? ვფიქრობ, ამაში შეუძლებელი არაფერია. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს სირიის მხარის სუვერენული გადაწყვეტილებაა, – აცხადებს ჟურნალისტებთან საუბარში ჩირიკბა.

აფხაზური დიპლომატიის მამა ახალი წლის მოახლოებით იმდენად არის აჟიტირებული, რომ იმედი აქვს, მათ დამოუკიდებლობას თბილისიც აღიარებს.

მისი თქმით, საქართველოს მხრიდან აფხაზეთის აღიარება და ასევე, სრულფასოვანი ორმხრივი ურთიერთობები უნდა იყოს საბოლოო გადაწყვეტილება, რომლიდანაც მოგებული დარჩება ორივე მხარე, ეს მომგებიანი იქნება მთლიანად რეგიონისთვის.

როგორც ჩირიკბამ აღნიშნა, ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა პოლიტიკური სიბრძნის მაღალი დონე და ნებისყოფა, რომელიც, სამწუხაროდ, საქართველოს მოქმედ ხელისუფლებაში არ შეინიშნება.

თბილისიდან აღიარებაზე მეტად ჩირიკბა იარაღის ჟღარუნს ელოდება. მის შიშიანობას ხელს საქართველოს ხელისუფლების გაჯიუტება უწყობს. მოგეხსენებათ, რომ თბილისი უარს აცხადებს, ხელი მოაწეროს შეთანხმებას ძალის გამოუყენებლობის თაობაზე.

— ეს კი იმას ნიშნავს, რომ თბილისი უფლებას იტოვებს, აფხაზეთთან დაკავშირებული პრობლემა ძალის გამოყენებით მოაგვაროს, – ჩივის აფხაზთა საგარეო საქმეთა მინისტრი.

მედიასთან საუბარში მას უძრავი ქონების გაყიდვაზეც მოუწია კომენტარების გაკეთება. აფხაზეთში უძრავი ქონების შესყიდვის სურვილს ბევრი უცხოელი გამოთქვამს. ყველაზე აქტიურები რუსეთის და თურქეთის მოქალაქეები არიან.

მართალია, აფხაზეთში ორივე ქვეყნის მიმართ სიმპათიები აქვთ, მაგრამ მათი მოქალაქეებისთვის უძრავი ქონების მიყიდვა მაინც ენანებათ. ამ თემაზე სოხუმში არაერთხელ აგორდა პოლიტიკური სკანდალი. ქონების გასხვისების საკითხს ფრთხილად უდგება ჩირიკბაც.

მისი განცხადებით, ამ ეტაპზე ხელისუფლება საკითხს დეტალურად სწავლობს და გადაწყვეტილება მოგვიანებით იქნება მიღებული.

სანამ რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, საგარეო უწყების თავკაცი ესპანური გამოცდილების გაზიარებას ემხრობა.

— ესპანეთში ზაფხულობით უცხოელებზე აქირავებენ მიწის ნაკვეთებს. ჩვენც შეგვიძლია ასე მოვიქცეთ, – ამბობს ჩირიკბა.

* * *

საქართველოს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე ოცნების გარდა, ჩირიკბას სხვა საქმეებიც გამოუჩნდა.

თურქეთის მიერ რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებას მოსკოვსა და ანკარას შორის ურთიერთობის მკვეთრი გაუარესება მოჰყვა, რამაც აფხაზებს სერიოზული პრობლემები შეუქმნა.

აფხაზეთის მოსახლეობის დიდ ნაწილს რუსული პასპორტები აქვს, მაგრამ არიან ისეთებიც, ვინც თურქულ პასპორტებს ანიჭებს უპირატესობას.

2016 წლის 1 იანვრიდან რუსეთი თურქეთთან უვიზო მიმოსვლას წყვეტს, რაც თურქული პასპორტების მქონე აფხაზებს პრობლემებს შეუქმნის. მათ ჩირიკბას უსტარი აახლეს და სთხოვეს, რომ მათთან დაკავშირებით რაიმე საიმედო გადაწყვეტილება მიიღოს.

სანამ რაიმე კეთილსაიმედოს მოიფიქრებდეს, ჩირიკბა ღმერთს სთხოვს, რაც შეიძლება მალე მოგვარდეს თურქულ-რუსული ურთიერთობები.

— იმედი მაქვს, რომ რუსეთ-თურქეთის კრიზისი ჩვენს თანამემამულეებს, რომლებსაც თურქული პასპორტები აქვთ, პრობლემებს არ შეუქმნის და ისინი აფხაზეთში ჩამოსვლას უპრობლემოდ შეძლებენ. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ რუსეთის ფედერაციის საკონსულოსთან კონსულტაციებს ვაწარმოებთ და გამოსავალს ვეძებთ, – აღნიშნავს ჩირიკბა.

მისი განცხადებით, თურქეთში მცხოვრები აფხაზური დასპორა შექმნილ ვითარებას გაგებით ეკიდება.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „არც ერთ პროვოკაციაზე არ წამოვეგებით“




— რაც არ უნდა სცადონ ჩვენი ქვეყნის არაკეთილმოსურნეებმა, არც ერთ პროვოკაციაზე არ წამოვეგებით, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის მუშაობის სამწლიანი ანგარიშის პრეზენტაციისას განაცხადა.

მისი თქმით, საქართველოს მთავრობა აგრძელებს რაციონალურ პოლიტიკას რუსეთის ფედერაციასთან მიმართებაში და მოსკოვისგანაც იგივეს ელის.

**ირაკლი ღარიბაშვილი:**

— არსებით ფორმატად საქართველოსა და რუსეთს შორის პოლიტიკური საკითხების განსახილველად რჩება ჟენევის მოლაპარაკებები. ასევე გრძელდება დიალოგი საქართველოსა და რუსეთის სპეციალურ წარმომადგენლებს შორის, ე.წ. პრაღის ფორმატი.

მიუხედავად საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული პრინციპული ხასიათის უთანხმოებებისა, მათ შორის 2008 წლის ომის გამომწვევ მიზეზებთან და მის შედეგებთან დაკავშირებით, ბოლო სამი წლის განმავლობაში, დიპლომატიური ურთიერთობის არარსებობის პირობებში, ჩვენ შევძელით ვაჭრობის, სატრანსპორტო და ჰუმანიტარულ სფეროებში გარკვეული წინსვლა და თანამშრომლობა.

მზად ვართ, გავაგრძელოთ პრაგმატული და რაციონალური პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით და რუსეთისგან ასევე ველით ანალოგიურ მიდგომას.

ჩვენი ხელისუფლება დაუღალავად ვადგავართ კონფლიქტების და ამ პრობლემების მოგვარების მშვიდობიანი, არაძალადობრივი კურსს. ჩვენ გვსურს გავატაროთ მშვიდობისმოყვარე, კეთილმეზობლური პოლიტიკა. ხალხთა შორის უშუალო დიალოგს, თანამშრომლობას ალტერნატივა არ აქვს.




რაც არ უნდა სცადონ ჩვენი ქვეყნის არაკეთილმოსურნეებმა, არც ერთ პროვოკაციაზე არ წამოვეგებით და ჩვენი მშვიდობიანი გზა არ შეიცვლება.

პრემიერის თქმით, სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გაძლიერება არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული, მიზნად ისახავს მხოლოდ თავდაცვითი შესაძლებლობების გაზრდას და რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცებას ემსახურება.

ინტერპრესნიუსი

# ცეზარ ჩოჩელი: „ბანკები თითქმის ყველა სფეროს მოედნენ“

## რა პრეტენზიები აქვთ ქართველ და უცხოელ ბიზნესმენებს ქართული ბანკებისადმი

ბიზნესმენებს ქართული ბანკების მიმართ კვლავ პრეტენზიები აქვთ. კერძო სექტორის წარმომადგენლები ბანკების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევას ითხოვენ.



როგორც „ქართული ლუდის კომპანიის“ ხელმძღვანელი ცეზარ ჩოჩელი აცხადებს, საბანკო სექტორი დასარეგულირებელია, რადგან არსებობს შემთხვევები, როდესაც ბანკები საკუთარი კლიენტებისგან მათი ბიზნესის შესახებ სრულ ინფორმაციას იღებენ და შემდეგ თავადვე იწყებენ ამ ბიზნესს.

— ბანკები თითქმის ყველა სფეროს მოედნენ. ისინი იღებენ ყველანაირ ინფორმაციას საკუთარი კლიენტებისგან და ცოტა ხნის შემდეგ თავად ბანკები იწყებენ იმ საქმიანობებს, რომლებსაც ახორციელებენ მათი კლიენტები. ეს უნდა გაიმიჯნოს. ასევე, კურსთა შორის სხვაობები, როდესაც ყიდვა-გაყიდვას შორის სხვაობას 10-12 პუნქტი უჭირავს, ამას საბანკო საქმიანობას ვერ დავარქმევ, — აცხადებს ცეზარ ჩოჩელი.

ბანკებთან დაკავშირებით საკუთარი პრეტენზიები მსხვილი სამშენებლო კომპანიის „აქსისის“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი კაპანაძემ დააფიქსირა. დეველოპერმა აღნიშნა, რომ ბანკების მიერ არაპროფილური აქტივების გამიჯვნა, შეიძლება, ფიქტიურ ხასიათს ატარებდეს.

— ყოფილა შემთხვევა, როდესაც ჩვენი კლიენტი რეკავდა ბანკში კრედიტის ასაღებად, რათა ბინა ჩვენთან ეყიდა და იქ ეუბნებოდნენ, რომ მათ უკეთესი ვარიანტის შეთავაზება შეეძლოთ. არც ერთ ქვეყანაში ბანკები ასე არ იქცევიან. ბანკებს ვადა 2015 წლის ბოლომდე მიეცათ იმისთვის, რომ ბიზნესები ერთმანეთისგან გაემიჯნათ, მაგრამ ვფიქრობ, ეს შეიძლება ფიქტიურ ხასიათს ატარებდეს, — განაცხადა კაპანაძემ.

მისივე თქმით, 2008 წლის ომამდე, ბანკების შესახებ კანონში ეწერა, რომ ბანკებს აქვთ უფლება იქონიონ არაპროფილური აქტივები, სადაც წილის 20%-ზე მეტის ფლობის უფლება არ ჰქონდათ. ეს კი არის შემთხვევა, როდესაც ბანკი მენეჯმენტში ვერ ჩაერევა. სწორედ ასეთი რეგულაცია მიაჩნია ბიზნესმენს რეალურად.

ბიზნესმენების ნაწილი ასევე აკეთებდა აქცენტს იმაზე, რომ კრიზისის პერიოდში ქართულ ბანკებს არაპარტნიორული დამოკიდებულება ჰქონდათ.

„ნიკორას“ დირექტორი ირაკლი ბოქოლიშვილი აცხადებდა, რომ სავალუტო კრიზისის დროს ქართულმა ბანკებმა, დასავლური ბანკებისგან განსხვავებით, განაკვეთები გაზარდეს. ეს ყველაფერი კი ბიზნესზე ზეწოლას აძლიერებს.

— ეს გრძელვადიანი პერიოდისთვის არასწორი პოლიტიკაა და მეტ პრობლემებს მოიტანს ბიზნესისთვის. და თუ ბიზნესი თავს ვერ აარიდებს პრობლემებს, მაშინ ეს ბანკებს ბუმერანგივით დაუბრუნდება, — აცხადებს ბოქოლიშვილი.

კომერციული ბანკის მიმართ პრეტენზიებს გამოთქვამს ბიზნესმენი დავით ბეგიაშვილიც. როგორც მან „კომერსანტთან“ განმარტა, ამერიკაში და ევროპის ქვეყნებში გაცილებით ნაკლები საპროცენტო განაკვეთებია და სესხების მიღება უფრო გამარტივებული გზებით ხდება. მისი თქმით, კარგი იქნება, თუ საერთაშორისო პრაქტიკას და პათოსს ქართული საბანკო საზოგადოებაც გაითვალისწინებს.

ქართული ბანკებიდან სესხის აღების პრობლემებზე „კომერსანტთან“ ისაუბრა „საქართველო -ისრაელის ბიზნეს პალატის“ პრეზიდენტმა იციკ მოშემაც.

მისი განცხადებით, თანადაფინანსების შემთხვევები ნაკლებია საქართველოში, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მაგალითად, როდესაც ინვესტორი აშენებს სასტუმროს, მას უჭირს ქართული ბანკიდან სესხის აღება.

— როდესაც რომელიმე კომპანიამ უკვე განახორციელა პროექტის 50%, ჩადო თანხა და ბოლო ეტაპზე სჭირდება დაფინანსება, ბევრ ინვესტორს უნდა, რომ მშენებლობის ბოლო ეტაპზე ჩაერთოს რომელიმე ფინანსური ჯგუფი. ამით ის ზომავს, რამდენად სჯერათ ადგილობრივ ფინანსურ ჯგუფებს თავიანთი ქვეყნის. თუ რომელიმე ფინანსური ჯგუფი, ბანკი, არ არის მზად, რომ პროექტის მშენებლობის ბოლო ეტაპზე (როდესაც 50% უკვე განხორციელებული აქვს ინვესტორს საკუთარი ფულით) ჩაერთოს და სესხი გასცეს, ე.ი. მას არ სჯერა საკუთარი ქვეყნის, ანუ სიტუაცია ქვეყანაში არ არის მყარი, არ არის სტაბილური. ეს უარი ბანკების მხრიდან სწორედ ამის ნიშანია, — განაცხადა იციკ მოშემ.

**სალომე მეცხვარიშვილი, კომერსანტ.გე**

# უმუშევრობას მცირე ბიზნესი დაამარცხებს

## სეგმენტი, რომელიც საქართველოში არავის აინტერესებს

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე მსჯელობა საქართველოში 1990-იანი წლებიდან დაიწყო. იმ დროიდან მცირე და საშუალო მეწარმეობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებად იქნა აღიარებული.

1999 წლის 23 ივლისს მიიღეს კანონი „მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“, რომელიც 2006 წლის 24 მაისს გაუქმდა. ამას სპეციალისტები ძალზე უარყოფით მოვლენად მიიჩნევენ და ამბობენ, რომ 2003 წლის შემდეგ ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდა აშკარად შენელდა. შესაბამისად, ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანთა რიცხვიც შემცირდა.

— საქართველოში ეკონომიკური ზრდა ძირითადად მსხვილი საწარმოების წილად მოდის, რაც ნამდვილად არ არის სასიხარულო მოვლენა, — ამბობს საწარმოთა ინოვაციური განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი თამაზ ვაშაკიძე, რომელიც მცირე ბიზნესის პრობლემებზე უკვე წლებია მუშაობს:

***— ბატონო თამაზ, ცნობილია, რომ საქართველოში ბიზნესის წამოწყება ადვილია. რამდენად მართებულად მიგაჩნიათ ეს შეფასება?***

— გააჩნია, რას გულისხმობენ „დაწყებაში“. თუ აქ იგულისხმება ბიზნესის გაფორმება, კი ბატონო, დაწერ განცხადებას და შეიძლება დასტურიც არ გქონდეს საგადასახადოდან, ბიზნესი ისე დაიწყო, მაგრამ რით უნდა დაიწყო? საწყისი კაპიტალის გარეშე ბიზნესის წამოწყება წარმოუდგენელია. ფული კი საქართველოში ძალიან ძვირია. მეწარმე, განსაკუთრებით ინდმეწარმე, საქმის დასაწყებად თანხას ვერ შოულობს. რეიტინგებში ბიზნესის დაწყებით ვართ საწყის პოზიციებზე, თორემ შემდგომ ეტაპზე მდგომარეობა სულ სხვაგვარია.

თამაზ ვაშაკიძე ამბობს, რომ ამ სფეროში ძალიან დიდია ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი.

— კარგად მახსოვს, რამდენიმე წლის წინ, მსოფლიოში ცნობილმა გაზეთმა „ობსერვერმა“ დაბეჭდა, რომ 2009-2010 წლებში საქართველოში ჩრდილოვანი ბიზნესის წილი 74% იყო, ამ სეგმენტში სიტუაცია დიდად არ შეცვლილა. ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობენ, რომ დამალონ, მაგრამ სიმართლე არ იმალება.

***— რატომ ფიქრობთ, რომ ახლაც იგივე მდგომარეობა გვაქვს?***

— საქართველოში 156 ათასი სამეწარმეო სუბიექტია აღრიცხული, მათ შორის 88 ათასი მცირე საწარმოა, ოღონდ ეს ძველი კანონით, რადგან კანონი უკვე აღარ არსებობს. საგადასახადო სამსახურთან ურთიერთობა აქვს დაახლოებით 50 ათასს. დანარჩენები სად არიან? დავუშვათ, ნახევარს დახურული აქვს თავისი ბიზნესი, მაგრამ ეს იმდენად რთული პროცედურაა, რომ ყველა მეწარმე გაურბის. გამოდის, რომ ან ჩრდილოვან ეკონომიკაშია შესული, ან ე.წ. რუხ ეკონომიკაში: ასეთ დროს მეწარმე მალავს თავის შემოსავალს და მხოლოდ მის ნაწილს აჩვენებს.

თამაზ ვაშაკიძე ფიქრობს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესს სხვაგვარი ხელშეწყობა უნდა ჰქონდეს. პრობლემაა საგადასახადო კანონმდებლობის ხშირი ცვლილებაც.




— ერთხელ დავთვალეთ და კანონში 5-6 წლის განმავლობაში 4 ათასი ცვლილება იყო შეტანილი. თუ ამდენი ცვლილება იყო შესატანი, ესე იგი, კანონი თავიდანვე არ ვარგოდა. 2003 წლიდან ახალი კანონი რომ შემოვიდა, იქაც უკვე 3 ათასამდე შესწორებაა შეტანილი. ახალი მინისტრი მოდის და საგადასახადო კანონები მაშინვე იცვლება, რაც ყველაზე ჭკვიან და გამოცდილ მეწარმესაც კი დააბნევს. აქედან დასკვნა: საქართველოში არ არსებობს მცირე მეწარმეობის განვითარებისათვის საჭირო გარემო და ეს სფერო მთლიანად დამოკიდებულია ინდივიდებზე, რომლებიც ხელისუფლების სათავეში დგანან.

***— ესე იგი, წლები გადის, პრობლემები კი რჩება?***

— თუ რამე ცვლილებას აქვს ადგილი, ესეც მხოლოდ ფასადური ხასიათის ცვლილებებია. საქართველოში ადგილობრივი მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა და განვითარება არ არის პრიორიტეტი, რადგან ქვეყნის ეკონომიკური საზღვარი ღიაა და აქ შემოდიან უცხოელი მეწარმეები, რომლებსაც ფული აქვთ. გაიარეთ აღმაშენებლის გამზირზე და ნახავთ, რომ ეს თურქულ-არაბული ქუჩაა. შემოვიდნენ, დაიქირავეს პირველ სართულზე მაღაზიები და ბიზნესიც ააწყვეს.

***— რატომ ქართველმა ვერ გახსნა?***

— იმიტომ, რომ საწყისი კაპიტალი არ ჰქონდა. მცირე მეწარმეობა თუ ნორმალურად მოქმედებს, 3-4 წლის მერე უნდა გაფართოვდეს და საშუალო ბიზნესის დონეზე გადავიდეს. ჩვენში ამას ძალიან ცოტა ახერხებს.

თამაზ ვაშაკიძის აზრით, ამ მიმართულებას ხელისუფლებამ უნდა შეუწყოს ხელი, რადგან არ არსებობს ქვეყანა, რომელსაც მცირე მეწარმეობის განვითარების გარეშე უმუშევრობის დონე შეემცირებინოს, ყველამ რაღაცით შეუწყო ხელი მცირე ბიზნესს.

— საქართველო ალბათ მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც არ აქვს კანონი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების შესახებ, რაც დაუშვებელია. ევროპაში მცირე და საშუალო ბიზნესს კანონი იცავს და თუ ევროპისკენ მივდივართ, მათი გამოცდილება ქართულ რეალობას უნდა მოვარგოთ და ისე გამოვიყენოთ. შეიძლება მიკრომეწარმეს 30 ათასი ლარი ჰქონდეს ბრუნვა? — ამას მეწარმეობა არ ჰქვია. მცირე მეწარმეებს ევროპულ ქვეყნებში უამრავი შეღავათი აქვთ. თუ ჩვენც ასე არ მოვიქცევით, საქართველოში ვერც მეწარმეობა განვითარდება და ვერც უმუშევრობის პრობლემას დავძლევთ.

**ხათუნა ჩიგოგიძე, ბიპიენი**



# მარჯვენასაჭიანი მანქანების ბიზნესი უკვე დაზარალდა

ავტოდილერები, რომელთაც საქართველოში მარჯვენასაჭიანი მანქანები შემოჰყავთ, საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

მათი თქმით, 2016 წლის 1 მარტიდან მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გამოცხადებისთანავე, მათთვის ზიანი დადგა, რადგან მომხმარებელი ასეთი მანქანების შეძენას უკვე თავს არიდებს.

მარჯვენასაჭიანი მანქანების ბიზნესში ჩართული პირები მიიჩნევენ, რომ შესაძლებელია მოხდეს საკითხის დარეგულირება, მაგრამ არა სრული აკრძალვა.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის გოკა გაბაშვილის განმარტებით, იმის მიუხედავად, რომ პარლამენტს ინიცირებული პროექტის განხილვა ჯერ არ დაუწყია, ბიზნესს ზარალი უკვე მიადგა, მარჯვენასაჭიანი მანქანები აღარ იყიდება და ამ სფეროში დასაქმებული ადამიანები ბიზნესს კარგავენ. გაბაშვილი იმასაც ამბობს, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით ზარალდებიან მომხმარებლები, რადგან მარჯვენასაჭიან მანქანებს ძირითადად დაბალი ფასის გამო ყიდულობენ.

— ჩვენ გვაქვს კონსულტაციები იურისტებთან. კონსულტაციები გვექნება პარლამენტში და იმედი გვაქვს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება არ ამოქმედდება, — აცხადებს გაბაშვილი.

მთავრობის მიერ პარლამენტში ინიცირებულია პროექტი, რომელიც 2016 წლის 1 მარტიდან მარჯვენასაჭიანი ავტომობილების და საჭეგადატანილი მანქანების რეგისტრაციის აკრძალვას ითვალისწინებს.

**ბიპიენი**

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ჰიპერმარკეტი გორგია ამერიკის სავაჭრო პალატის საპატიო წევრი გახდა

**ამერიკის სავაჭრო პალატამ თავისი წევრი 200–მდე კომპანია წლის შესაჯამებლად და 2016 წლის გეგმებზე სასაუბროდ მრგვალ მაგიდასთან მიიწვია. აღნიშნულ შეხვედრაში კომპანია ჰიპერმარკეტი „გორგიაც“ მონაწილეობდა. გორგია ამერიკის სავაჭრო პალატის წევრი 2015 წლის ოქტომბერში გახდა და გუშინდელ შეხვედრაზე საპატიო წევრის წოდება მოიპოვა. აღნიშნულ შეხვედრაში „AmCHam“-ის ვიცე პრეზიდენტმა Michale Cowgill-მა „გორგია“ სხვა წევრ კომპანიებთან წარადგინა.**




„გორგია“ საკმაოდ გამოცდილი, სიახლეებზე ორიენტირებულიკომპანიაა. ჩვენ მზად ვართ საკუთარი გამოცდილება სხვა ორგანიზაციებსაც გავუზიაროთ. მოხარულები ვართ, რომ ამერიკის სავაჭრო პალატის საპატიო წევრი გავხდით“, — აცხადებენ „გორგიაში“.

ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში ოფიციალურად 1998 წელს დაარსდა. ამ ეტაპზე პალატა საქართველოდან 200-მდე წარმატებულ კომპანიას აერთიანებს. მისი მიზანი საქართველოს, აშშ-სა და საერთაშორისო საზოგადოებას შორის კომერციული ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობაა. სავაჭრო პალატა მხარს უჭერს და წარმოადგენს მისი წევრი ორგანიზაციების საერთო ეკონომიკურ ინტერესებს.

ისევე, როგორც ამერიკის სავაჭრო პალატა, ჰიპერმარკეტი „გორგიაც“ 1998 წლიდან მოღვაწეობს ქართულ ბაზარზე სამშენებლო და სარემონტო სექტორში და ფილიალები საქართველოში სამ ყველაზე დიდ ქალაქში თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში აქვს. ჰიპერმარკეტი „გორგია“ მომხმარებელს სამშენებლო და სარემონტო მასალებს საქართველოში ყველაზე დაბალ ფასად სთავაზობს.

# ეკა გიგაური: „ჩემ მიმართ აგორებული შავი პიარი მუშაობაში მეხმარება“

## „პოლიტიკაში მოსვლას არ ვფიქრობ“

**საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ინტერვიუს არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“-ს აღმასრულებელ დირექტორ ეკა გიგაურთან**



***– რით იყო განსაკუთრებული 2015 წელი თქვენი ორგანიზაციისთვის და რა ძირითადი ცვლილებები მოხდა ქვეყანაში?***

– ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც წელს მოხდა, ევროკავშირის მხრიდან საქართველოსთვის ფაქტობრივად უვიზო მიმოსვლის მინიჭება იყო. ფორმალური პროცედურები გასავლელია, რასაც კიდევ რამდენიმე თვე დასჭირდება. ეს ცვლილება საქართველოს მოსახლეობას ბევრ პოზიტიურ შედეგს მოუტანს.

ასეთი შედეგისთვის ბრძოლა მხოლოდ 2 და 3 წლის წინ არ დაწყებულა და დამსახურება არა მარტო მოქმედმა მინისტრთა კაბინეტმა, არამედ ყველა იმ ადამიანმა და ყველა კეთილსინდისიერმა საჯარო მოხელემ უნდა გადაინაწილოს, ვინც წლებია ატარებდა ქვეყანაში რეფორმებს.

წელს ჩვენი ორგანიზაციის 15 წლის იუბილე აღვნიშნეთ. დეკემბერში ჩემი ორგანიზაციაში მისვლის 5 წელიც გახდა.

როცა ორგანიზაციაში სამუშაოდ მივედი, გვქონდა ერთი ოფისი, რომელშიც 15 კაცი მუშაობდა. ახლა გვაქვს ოფისები თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ბათუმში. ასევე საპარლამენტო ოფისი საქართველოს პარლამენტში. ჩვენი გუნდი 50-მდე პროფესიონალისგან შედგება.

***– თქვენი გვარი უკვე კრებით ფორმასთან ასოცირდება. როდესაც არასამთავრობოების მოხსენიება უნდათ, მათ ერთი სახელით, გიგაურით, იხსენიებენ, მათ შორის ბიძინა ივანიშვილიც. როგორ უყურებთ ამ ფაქტს?***

– ასე თქმა არასწორი იქნება. სამოქალაქო სექტორი გაერთიანებული ძალისხმევით აღწევს წარმატებას. ამიტომ გიგაური სამოქალაქო სექტორში იქნება თუ არა, ეს სექტორი იარსებებს და ისევე მწვავედ შეაფასებს ყველა იმ პრობლემას, რომელიც არსებობს ქვეყანაში,

***– გიშლით თუ არა საქმიანობაში ხელს თქვენ მიმართ აგორებული შავი პიარი?***

– არა, არ მიშლის. პირიქით, მიქმნის განცდას, რომ ყველაფერი, რასაც ვაკეთებ, სწორია. ვისურვებდი, მმართველ კოალიციასთან ურთიერთობები კორექტულობის ფარგლებს არ სცდებოდეს. მე სულ ვცდილობ, დავიცვა ეს ზღვარი, თუმცა მმართველი გუნდის მხრიდან ხშირია ჩემი და ჩემი ორგანიზაციის მისამართით არაკორექტული და ხშირ შემთხვევაში, დაუსაბუთებელი ბრალდებები.

***– ცოტა ხნის წინ თქვენ განაცხადეთ, რომ მაღალ თანამდებობას გთავაზობდნენ ერთ-ერთ სამინისტროში, რატომ თქვით უარი აღნიშნულ შემოთავაზებაზე?***

– ვერ ვიმუშავებდი იმ გუნდში, სადაც გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია არაფორმალური გავლენის მქონე ერთ ადამიანზე და არა – კონკრეტულ სახელმწიფო სისტემაზე. მე მქონდა საჯარო სექტორში მუშაობის გამოცდილება და როგორც კი დავინახე, რომ არ ვიზიარებ იმ მიდგომებს, რომლებიც მათ ჰქონდათ და მაშინდელი გადაწყვეტილებების მიმღები პირებისთვის განსხვავებული აზრი მიუღებელი იყო, მაშინვე წამოვედი.

დიდ წნეხს გავუძელით მაშინ მეც, ჩემი ოჯახის წევრებმაც და მეგობრებმაც და მე ვიცი, რას ნიშნავს, როდესაც ადამიანს სახელმწიფო უპირისპირდება. მადლობელი ვარ შემოთავაზებისთვის. ჩემთვის თანამდებობა არაფერს ნიშნავს. მგონია, რომ სადაც ვარ, იქაც ბევრი რამის გაკეთება შემიძლია ჩვენი საზოგადოებისთვის. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ წინა მთავრობის დროს, განსხვავებული აზრის მქონე ადამიანს თანამდებობას არ სთავაზობდნენ და ეს ფაქტია.

***– თქვენ ასევე არ გამორიცხავთ პოლიტიკაში მოსვლას, თუმცა თქვენი პოლიტიკაში მოსვლა კიდევ უფრო ადრე ბიძინა ივანიშვილმა დააანონსა. ვიხილავთ თუ არა „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ხელმძღვანელს ახლო მომავალში პოლიტიკაში?***

– არ მგონია. მგონია, რომ არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსით მივიღებ მონაწილეობას. ეს იქნება საუკეთესო, რაც შეიძლება გავაკეთო ამ ეტაპზე. ზოგიერთი პარტია მეც და არასამთავრობო სექტორის სხვა წარმომადგენლებსაც გვთავაზობდა მათ გუნდში გაერთიანებას და მე ამას არასოდეს ვმალავდი. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სადმე მივდივარ.

„ქართული ოცნებაც“ ცდილობს სიის განახლებას და ბევრ ადამიანთან მოლაპარაკებებს პირადად ბიძინა ივანიშვილი აწარმოებს. თუმცა არ მგონია, რომ ამ გუნდს ბევრი პრინციპების მქონე, ცნობილი და წარმატებული ადამიანი შეუერთდეს. პრინციპულ ხალხს აუცილებლად დასჭირდება გარანტიები, რომ ივანიშვილი მათ გადაწყვეტილებების მიღებაში არ ჩაერევა, ეს კი არარეალისტური მგონია.

***– როგორ შეაფასებდით 2015 წელს ქვეყანაში ადამიანის უფლებების, საბიუჯეტო ხარჯების გამჭვირვალობისა და მედიის თავისუფლების მიმართულებით?***

– მედია სივრცე 2012 წლის არჩევნების შემდეგ გაიხსნა და მეტად პლურალისტური გახდა. 2012 წლამდე მხოლოდ ორ ეთერში მეძახდნენ – „კავკასიაზე“ და „მაესტროზე“. შემდეგ უკვე მათ „მე-9 არხი“ დაემატათ. დღეს განსხვავებული აზრისთვის ეთერები ღიაა, თუმცა თვალს ვერ დავხუჭავთ არასასიამოვნო ტენდენციებზე, როგორიცაა სხვადასხვა ტელევიზიებში თოქშოუების დახურვა.

ასევე ცხადია, რომ არსებობს „რუსთავი 2“-ის მფლობელების შეცვლაში ხელისუფლების ინტერესი. აღმაშფოთებელია ჟურნალისტების წინააღმდეგ პირადი ინფორმაციის გამოყენების ფაქტები.

თუ ეს ტენდენციები გაგრძელდა, მარტივია ისევ წარსულთან დაბრუნება, რადგან გვახსოვს, რა ხდებოდა. საზოგადოებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ მედიის მრავალფეროვნების თვალსაზრისით ჩვენი მონაპოვარი დავიცვათ.

***– თქვენ ბევრ უცხოურ ორგანიზაციასთან თანამშრომლობთ. როგორია მათი განწყობა საქართველოს მიმართ, რამდენად შეიცვალა ის და რას ურჩევდით ხელისუფლებას საერთაშორისო მიმართულებით პოზიციების გასამყარებლად?***

– ვინც კი ჩამოდის საქართველოში, ყველა ჩვენი ქვეყნის დიდი გულშემატკივარი ხდება. ვიზების ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით ვიტყვი, რომ ყველა ეს ადამიანი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ საქართველოს სასარგებლოდ მიღებულიყო გადაწყვეტილება.

ისინი ხედავენ იმ მიღწევებს, რომლებიც გვაქვს და ასევე იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც ჩვენ ვდგავართ. ამიტომ კრიტიკა მათი მხრიდან მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება – საქართველოში უფრო მყარი დემოკრატიული სისტემა ჩამოყალიბდეს.

მთავრობას საერთაშორისო ასპარეზზე უფრო ეფექტური კომუნიკაცია უნდა ჰქონდეს ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან საქართველოში მიმდინარე პროგრესულ რეფორმებთან დაკავშირებით და არ ჩადგნენ ნაწყენების პოზიციაში, როდესაც საერთაშორისო პარტნიორებისგან კრიტიკას ისმენენ. ამ სახელმწიფოებს დემოკრატიის უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვთ და ზუსტად იციან, რა არის დემოკრატიისთვის საფრთხე.

***– რა არის თქვენი მოლოდინი 2016 წლის არჩევნებისთვის. რას აპირებთ, დააკვირდებით თუ არა?***

– დავაკვირდებით, ისევე, როგორც ვაკვირდებოდით წინა არჩევნებს. ასევე დავაკვირდებით წინასაარჩევნო გარემოს და პარტიების დაფინანსების საკითხებს. რადგან ვთვლით, რომ შესაძლოა ქართულ პოლიტიკაში რუსული ფული მეტად გამოჩნდეს, მნიშვნელოვანია, ამ საკითხების მონიტორინგი განსაკუთრებით ეფექტურად განვახორციელოთ.

***– მიიღებს თუ არა ხალხი არჩევნებში მონაწილეობას?***

– მინდა მჯეროდეს, რომ არჩევნებზე ბევრი მოქალაქე მივა, თუმცა მესმის იმ მოქალაქეებისაც, რომლებსაც არც ერთი პოლიტიკური ძალის აღარ სჯერათ. მაგრამ მაინც მგონია, რომ მნიშვნელოვანია მოქალაქეობრივი ვალის გაცნობიერება და ეს პათეტიკური სიტყვები არ არის – ყველა ჩვენგანის არჩევანი განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის მომავალს და ეს პასუხისმგებლობა მოქალაქეებმა უნდა ავიღოთ საკუთარ თავზე.

ამიტომ ჩვენი ორგანიზაციის მთავარი მოწოდებაა მოქალაქეების მიმართ, იყვნენ აქტიური და მაქსიმალურად ჩაერთონ სამოქალაქო ცხოვრებაში.

***– რატომ არ ენდობა ხალხი დღეს პოლიტიკურ პარტიებს და პოლიტიკოსებს?***

– საქართველოს დემოკრატია ძალიან ახალგაზრდაა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები იყო პირველი პრეცედენტი ჩვენი დამოუკიდებელი ქვეყნის ისტორიაში, როცა ხელისუფლების ცვლილება მოხდა არჩევნების გზით. პოლიტიკურ პარტიებსაც, როგორც ყველა სხვა ინსტიტუტს, საზოგადოებაში ნდობის და პატივისცემის მოსაპოვებლად სჭირდებათ ტრადიცია – პოლიტიკური ცხოვრების, ბრძოლის, მარცხის და გამარჯვების. ლოგიკურია, რომ საქართველოში ხშირად არჩევნებს იგებენ თითქმის აბსოლუტური ნდობით და პოლიტიკაში მოღვაწეობას ასრულებენ ხალხის ნდობის დაკარგვით.

მოქალაქეების ასეთი იმედგაცრუება პოლიტიკოსებით მათდამი ემოციური დამოკიდებულებითაც არის ხშირად გამოწვეული. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეები არჩევნებზე გადაწყვეტილებას იღებდნენ რაციონალურად – აქტიურად იყვნენ პროცესებში ჩართული, გაეცნონ პოლიტიკოსების და პარტიების პროგრამებს და ეცადონ, მაქსიმალურად ინფორმირებული არჩევანი გააკეთონ. თუმცა თვალი არ უნდა დავხუჭოთ ობიექტურ მიზეზებზეც – ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ვერ პასუხობს დღეს საზოგადოების უმრავლესობის მოთხოვნებს.

***– რა პრიორიტეტებს ისახავს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მომავალ წელს?***

– საპარლამენტო არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება ჩვენი ქვეყნისთვის და რეგიონის სტაბილურობისთვისაც. ამიტომ ჩვენი ორგანიზაციაც, ჩვენს პარტნიორებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და არასამთავრობო სექტორის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, და თითოეული აქტიური მოქალაქის ჩართულობით, ვეცდებით შევქმნათ ქვეყანაში მაქსიმალურად ხელსაყრელი გარემო სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად.

ჩვენ აქტიურად დავაკვირდებით საარჩევნო რეფორმას, მომავალ წელსაც ახალ პარლამენტს მოვთხოვთ საარჩევნო სისტემის შეცვლას, თუ წელს სისტემა არ შეიცვლება.

საფუძვლიანად შევისწავლით მედია გარემოს წინასაარჩევნო პერიოდში. დავიცავთ ჟურნალისტებს ზეწოლისგან თუ ასეთ შემთხვევებს ადგილი ექნება, ვითანამშრომლებთ პოლიტიკურ ჯგუფებთან, რათა მათ ადეკვატური წარმოდგენა ჰქონდეთ ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ.

მომავალი წლისთვის ასევე ჩვენი პრიორიტეტია, მეტად მოვიცვათ საქართველოს რეგიონები. ვაპირებთ მე-6 ოფისის გახსნას თელავში. გარდა ამისა, გვინდა ჩავიდეთ იქ, სადაც არ გვაქვს ჯერ წარმომადგენლობები და ადგილზე გავეცნოთ მოსახლეობის პრობლემებს, რათა შემდეგ შევძლოთ მათი დახმარება და ამ პრობლემებზე საზოგადოების, პოლიტიკოსების და მედიის ყურადღების მობილიზება.

გვინდა ჩავრთოთ მეტი ახალგაზრდა და სტუდენტი ჩვენ საქმიანობაში. დარწმუნებული ვარ, ეს გამოგვივა.

**საინფორმაციო სააგენტო ნიუსპრესი**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიში, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# თეა წულუკიანი: „ენდიაის კვლევები ჩემთვის თემა არ არის“

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანის განცხადებით, ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევები მისთვის თემა არ არის.

ამის შესახებ წულუკიანმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა და აღნიშნა, რომ მისთვის დღის თემა სამი წლის განმავლობაში მთავრობის მიერ ხალხისთვის გაკეთებული მასშტაბური საქმეა.

**თეა წულუკიანი:**

– ეს ჩემთვის არ არის თემა. ჩემთვის თემა დღეს არის სამი წლის განმავლობაში ჩემი მთავრობის ხალხისთვის გაკეთებული მასშტაბური საქმე, რომლის შესახებაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი დეტალურ ანგარიშს გააკეთებს.

**ნიუსპრესი**



**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ობამა: „შემდეგი პრეზიდენტი ჰილარი უნდა გახდეს“

## პრეზიდენტმა წარსული მიმოიხილა

2016 წელს ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. ვინ გახდება თეთრი სახლის ახალი პატრონი? ექსპერტები ამის თაობაზე განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამენ. თავად ობამას პოზიცია უცვლელია: აშშ-ს ახალი პრეზიდენტი ჰილარი კლინტონი უნდა გახდეს, რითაც ხელისუფლებაში დემოკრატების ყოფნა კიდევ ოთხი წლით გახანგრძლივდება.





თავის ტელეინტერვიუში პრეზიდენტმა განვლილი წლების დეტალური მიმოხილვა გააკეთა. ბუნებრივია, ყველაზე დაწვრილებით და ამომწურავად მიღწევებზე ისაუბრა. ობამამ ხაზი გაუსვა იმას, რომ აშშ-ში უმუშევრობა 70%-ით შემცირდა, დაიწყო ჯანმრთელობის რეფორმის განხორციელება და ა.შ.

– ახლა უფრო მეტ მოქალაქეს შეუძლია თავისი ჯანმრთელობის დაზღვევა განახორციელოს, – თქვა ობამამ.

პრეზიდენტი ტერორიზმის პრობლემაზეც დაწვრილებით შეჩერდა. მან აღნიშნა, რომ ამერიკული არმია და სპეცსამსახურები ტერორისტულ ორგანიზაციებს ახალ-ახალ ძლიერ დარტყმებს აყენებენ. განადგურებულია არაერთი ტერორისტული ორგანიზაცია, ლიკვიდირებულია მრავალი აქტიური ლიდერი. ტერორიზმთან ბრძოლა მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარეობს.

– არასოდეს ანტიტერორისტულ კამპანიას ასეთი ფართო ხასიათი არ ჰქონია, – თქვა ობამამ.

პრეზიდენტი საგარეო პრობლემებსაც შეეხო. მას რუსეთი საერთოდ არ უხსენებია, ისევე, როგორც არ უხსენებია ყირიმი ან დონბასის კონფლიქტი. ობამამ ძირითადად სირიის ომზე ილაპარაკა, თუმცა არც ამ შემთხვევაში ისაუბრა იმ უთანხმოებებზე, რაც მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის არსებობს.

– ასადი უნდა წავიდეს, სხვაგვარად სირიაში მშვიდობა ვერ დამყარდება, – თქვა ობამამ.

პრეზიდენტმა დაწვრილებით ისაუბრა ირანთან ატომურ იარაღთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევაზე, კუბასთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე, იმ უზარმაზარ სამუშაოზე, რამაც ეს შესაძლებელი გახადა.

2016 წლის გეგმებზე საუბრისას ობამამ განაცხადა, რომ ქვეყნის შიგნით კვლავ გაგრძელდება სოციალური რეფორმები, საერთაშორისო სარბიელზე კი – ტერორიზმთან ბრძოლა და მშვიდობის დაცვა.

– აქამდე ჩვენ შევძელით, თავიდან აგვეცილებინა გლობალური კონფლიქტები, მომავალშიც ეს ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იქნება, – თქვა ობამამ.

* * *

ექსპერტ ვიტალი პორტნიკოვის აზრით, ობამას სურს ისტორიაში შევიდეს, როგორც პოლიტიკოსი, რომელმაც გლობალური კონფლიქტების აცილებაც მოახერხა და ამერიკის საერთაშორისო პოზიციებიც განამტკიცა.

2016 წელი ობამას თეთრ სახლში ყოფნის უკანასკნელი წელია. ისიც ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რათა რუსეთთან ურთიერთობები არ გამწვავდეს, დონბასსა და ყირიმში კი ესკალაცია არ მოხდეს.

– ობამას სურს შეინარჩუნოს თუნდაც მოჩვენებითი სტაბილურობა, რათა ხელისუფლება ჰილარი კლინტონს გადასცეს და თეთრი სახლიდან თავაწეული წავიდეს. რუსული პრობლემის მოგვარების სიმძიმე კი უკვე მის შემცვლელს დააწვება, – წერს პორტნიკოვი.

**ნიკა თევზაძე**

## პუტინი: „დონბასის რუსულენოვან მოსახლეობას არავის დავაჩაგვრინებთ“

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ დონბასის ომის დამთავრების მომ-



ხრეა, თუმცა აღნიშნა, რომ ეს ნებისმიერ ფასად არ უნდა მოხდეს.

– დონბასის რუსულენოვან მოსახლეობას უკრაინელ ნაციონალისტებს შესაჭმელად არ მივუგდებთ! – თქვა პუტინმა.

მიუხედავად ამისა, რუსმა შოვინისტებმა პუტინის გამოსვლა არასაკმარისად ხისტად მიიჩნიეს. რუსი კომუნისტების ლიდერმა გენადი ზიუგანოვმა განაცხადა:

– მას პირდაპირ უნდა ეთქვა: უკრაინა მინსკის შეთანხმებებს არ იცავს, იკავებს დასახლებულ პუნქტებს ბუფერულ ზონაში და თუ ასე გაგრძელდა, რუსეთი იძულებული გახდება, დონბასში ჯარი შეიყვანოს! – აცხადებს ზიუგანოვი.

ვლადიმერ ჟირინოვსკი კი მიიჩნევს, რომ რუსეთში სამუშაოდ ჩამოსული ყველა უკრაინელი უნდა გააძევონ, შეუწყვიტონ უკრაინას გაზი, დენი და ა.შ.

– მაშინ თავად უკრაინელი ოლიგარქები ამოძრავდებიან და პოროშენკოს რეჟიმს დაამხობენ! – ამბობს ჟირინოვსკი.

*კალეიდოსკოპი*

## ჰიტლერს საკვერცხე აწუხებდა

გერმანელი მეცნიერი პეტრ ფლეიშმანი ამტკიცებს, რომ მიაგნო იმის უტყუარ მტკიცებულებას, რომ ადოლფ ჰიტლერს მარჯვენა საკვერცხის პრობლემები აწუხებდა.

ისტორიკოსის თქმით, მის აზრს ადასტურებს ჰიტლერის სამედიცინო საბუთები, რომლებიც 2010 წელს აუქციონზე იქნა გატანილი გასაყიდად, შემდეგ კი ის შესასწავლად ამოიღო ბავარიის ფედერალური მიწის ხელისუფლებამ.



ფლეიშმანის ხელთ აღმოჩნდა ექიმ ჯოზეფ შტაინერი ბრინის მიერ შედგენილი ანგარიში, რომელიც იმ ციხეში მუშაობდა, სადაც 1923 წელს, „ლუდის ამბოხების“ შემდეგ, მოათავსეს ჰიტლერი.

საბუთი იმაზე მეტყველებს, რომ გერმანიის მუშათა ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ლიდერი კრიპტორჰიზმით იტანჯებოდა. სამედიცინო ბარათში წერია, რომ ჰიტლერი ჯანმრთელი და ძლიერია, მაგრამ მარჯვენა კრიპტორჰიზმი აწუხებს.

ერთ-ერთი გერმანული გამოცემა ამასთან დაკავშირებით წერს, რომ ამ ვერსიით აიხსნება, თუ რატომ არ ჰყავდა შვილები ჰიტლერს. ადრე ვარაუდობდნენ, რომ ჰიტლერს ცალი საკვერცხე პირველი მსოფლიო ომის დროს ჭურვის ნამსხვრევმა დაუზიანა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნავთობზე ფასები ეცემა



ნავთობზე ფასების დაცემა გრძელდება. ორშაბათისთვის მან რეკორდულ მაჩვენებელს, ბარელზე 36,2 დოლარს მიაღწია.

რუსეთის ენერგეტიკის მინისტრი ბოიკო ამტკიცებს, რომ ნავთობზე ფასები ხელოვნურად დავარდა და ეს აშშ-ს ხრიკებია.

– თავის დროზე საბჭოთა კავშირი იმიტომ დაიშალა, რომ ნავთობზე ფასები ხელოვნურად დააგდეს, ახლაც მსგავსი პროცესი მიმდინარეობს, – ამბობს ნოვაკი.

რუსი მინისტრის აზრით, რუსეთმა ამას ნაციონალური კონსოლიდაციითა და რეპრესიების გაძლიერებით უნდა უპასუხოს.

– ჩვენ ალყაში ვართ და ყოველი მხრიდან მტრები გვახვევია! რუსეთი საფრთხეშია, ამიტომაც პუტინის გარშემო უნდა დავირაზმოთ და გავანეიტრალოთ ყველა, ვინც რუსეთის წინააღმდეგ გამოდის! – ამბობს ნოვაკი.

## რუსეთმა იდლიბი დაბომბა

20 დეკემბერს რუსულმა ავიაციამ სირიის ქალაქი იდლიბი დაბომბა. ყუმბარები ქალაქის ბაზარს დაეცა. არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობას შორის.



– დაღუპულია 36 მოქალაქე, – იტყობინება „ამერიკის ხმა“.

რუსეთმა სირიაში სამხედრო ოპერაციები 2015 წლის სექტემბერში დაიწყო. „ინდიპენდენტის“ ცნობით, რუსულმა ბომბებმა უკვე 879 მშვიდობიანი მოქალაქე შეიწირა. აქედან 97 ბავშვია.

## ესპანეთში კოალიცია შეიქმნება



ესპანეთის საპარლამენტო არჩევნებში მმართველი კონსერვატორული პარტია ლიდერობს. მან ხმების 27% დააგროვა. მეორეზეა სოციალისტური პარტია 23%-ით.

მოულოდნელობად იქცა უკიდურესი მემარცხენე ორგანიზაცია „პადენოსის“ წარმატება. მან 20% მიიღო.

მმართველი კონსერვატიული პარტია დამოუკიდებლად მთავრობის ფორმირებას ვერ შეძლებს და სხვა ორგანიზაციებთან კოალიციის შექმნა მოუწევს.

## სლოვენია ერთსქესიანი ქორწინების წინააღმდეგია

20 დეკემბერს სლოვენიაში ჩატარდა რეფერენდუმი ერთსქესიანი ქორწინების დაკანონების თაობაზე.



მოსახლეობის 60% ერთსქესიანი ქორწინების წინააღმდეგია.

არსებობს რეფერენდუმის შედეგების გაუქმების საფრთხე. მისი ორგანიზატორები ამტკიცებენ, რომ მასში მონაწილეობა მოსახლეობის 20%-ზე ნაკლებმა მიიღო. შესაბამისად, რეფერენდუმის შედეგებიც არ შეიძლება კანონიერად ცნონ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

*თოდუების საგვარეულო წამლები და მალამოები ოდითგანვე იყო ცნობილი. დღეს თოდუების გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელიც წარჩინებით მიჰყვება თავის საქმიანობას და ჰყავს ათასობით მადლიანი პაციენტი.*

**ლამარა თოდუა:**

**„კანის გაწმენდას ვაკეთებ ძველი და ახალი მეთოდებით, სამკურნალო ნიღბებით, რაც სახის კანის გაღიზიანებას არ იწვევს. ჩემი მკვებავი, დამცავი კრემები და ლოსიონები მხოლოდ მცენარეული და ბუნებრივი მასალაა. ვკურნავ „პრიჩიკებს“, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, ჩირქოვან სოკოვანებს, გასქელებულ ფრჩხილებს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ჰაიმორიტს. ვაშორებ ქერტლს, გამონაყარს, ვაჩერებ თმის ცვენას. ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ახალნამშობიარებ დედებს თუ მკერდი გაუმაგრდათ, ჩემი მალამოებით შვებას იგრძნობენ, სადინარები გაეხსნებათ და არანაირი მასაჟის ჩატარება საჭირო აღარ არის. ვარჩენ ნაწოლებს, თმის ჩაბრუნებას. ჩემი მალამოებით სწრაფად ხორცდება ნებისმიერი ხარისხის დამწვრობა ისე, რომ ნაწიბური და ლაქა არ რჩება. ვარჩენ ხელისა და ფეხის ოფლიანობას. მკურნალობის შედეგი გარანტირებულია“.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სათესლე ჯირკვლების ანთებას, ასოს, შარდსადინარის, პროსტატის ყველა სახის დაავადებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს ინტიმური ურთიერთობების მოსაწესრიგებელი უვნებელი „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# ბარსელონა მსოფლიოს ჩემპიონია

**რივერ პლეიტი – ბარსელონა 0:3**

0:1 მესი (36), 0:2, 0:3 სუარესი (49, 68)

**რივერ პლეიტი:** ბაროვერო, მერკადო, მაიდანა, ალვარესი, ვანხიონი, კრანევიტერი, სანჩესი, ვიუდესი (დრიუსი 56), პონსიო (გონსალესი 46), მორა (მარტინესი 46), ალარიო



**ბარსელონა:** ბრავო, ალვეში, პიკე, მასკერანო (ვერმალენი 81), ალბა, რაკიტიჩი (სერხიო რობერტო 67), ბუსკეტსი, ინიესტა, მესი, სუარესი, ნეიმარი (მატიო 89)

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ფინალში სენსაცია არ შედგა – ბარსელონამ დამაჯერებლად მოუგო რივერ პლეიტს და მესამედ გახდა ამ ტურნირის გამარჯვებული.

არგენტინელებმა ბრძოლა მხოლოდ პირველ ტაიმში გაუმართეს მეტოქეს, მაგრამ კატალონიელთა მაღალმა კლასმა თავისი გაიტანა და მათი შეჩერება მარსელო გალიარდოს გუნდმა ვეღარ შეძლო.

ბარსამ ანგარიში ჯერ კიდევ შესვენებამდე გახსნა – გოლი თანამემამულეებს ლეო მესიმ გაუტანა. შესვენების შემდეგ კი უკვე ლუის სუარესი ამუშავდა. ურუგვაელმა თავისი პირველი გოლი მეორე ტაიმის დასაწყისშივე გაიტანა და ამის შემდეგ რივერ პლეიტის ფეხბურთელები გონს ვეღარ მოვიდნენ. მოგვიანებით სუარესმა დუბლიც გაიფორმა და 5 გატანილი ბურთით ტურნირის ბომბარდირიც გახდა.

ბარსელონა პირველი გუნდი გახდა, რომელმაც მესამედ მოიგო მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი. ორჯერ ამ ტიტულს ბრაზილიური კორინთიანსი ფლობდა.

სუარესი ამ ტურნირის ისტორიაში პირველი ფეხბურთელია, ვინც 5 გოლის გატანა შეძლო. ურუგვაელი გახდა ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელიც, მას სპეციალური ოქროს ბურთი გადაეცა.

ვერცხლის ბურთი ლიონელ მესიმ მიიღო, ხოლო ბრინჯაოსი – ანდრეს ინიესტამ.

# რივერ პლეიტის ფანებმა მესის შეაფურთხეს

როგორც ჩანს, რივერის გულშემატკივრები ამ მარცხმა ძალიან გაანაწყენა, რადგან მათ ბარსელონას მთავარ ფეხბურთელს, ლიონელ მესის შეურაცხყოფა მიაყენეს.



ერთ-ერთმა გულშემატკივარმა მესის შეაფურთხა კიდეც.

ეს შემთხვევა აეროპორტში მოხდა, როდესაც ბარსელონა იაპონიიდან ესპანეთში ბრუნდებოდა. მესის გარდა, რივერის ფანებმა აგრესია ხავიერ მასკერანოს მიმართაც გამოხატეს, რომელმაც კარიერა სწორედ რივერ პლეიტში დაიწყო.

როგორც ესპანურ პრესაში წერენ, საქმეში ლუის ენრიკე ჩაერია, რის შემდეგაც სიტუაცია განიმუხტა.

თვითონ მესის კომენტარი არ გაუკეთებია.

# შერმადინმა რეალს 16 ქულა ჩაუგდო

## საკალათბურთო ლეგიონის ამბები



საქართველოს ნაკრების კალათბურთელმა გიორგი შერმადინმა ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ლიგაში წარმატებული თამაში ჩაატარა. ესპანეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში ქართველი ცენტრის გუნდის მეტოქე მრისხანე მადრიდის რეალი გახლდათ. მართალია, ანდორელები დამარცხდნენ (80:99), მაგრამ ამაში შერმადინის ბრალი ნაკლებად არის.

შერმადინი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 25 წუთში 16 ქულა, 5 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 პასი მიითვალა, ბურთი კი ერთხელ დაკარგა. ქართველმა ცენტრმა თითქმის უშეცდომოდ ესროლა. მან 7-დან 6 ორქულიანი და 4-დან ოთხივე საჯარიმო ჩააგდო.

შერმადინის მარგი ქმედების კოეფიციენტი 23 ერთეული გახლდათ, რაც მასპინძელთა გუნდში საუკეთესო იყო.

5 მოგებითა და 6 მარცხით შერმადინის გუნდმა 18-გუნდიან ცხრილში მე-11 ადგილზე ჩაინაცვლა. მორიგ ტურში, რომელიც 23 დეკემბერს გაიმართება, ანდორა სტუმრად ხუვენტუდს შეხვდება.

ზედიზედ 2 წაგების შემდეგ ესპანეთის ჩემპიონატში გამარჯვება მოიპოვა თორნიკე შენგელიას ლაბორალ კუჩამ. ვიტორიელებმა სევილიას უმასპინძლეს და 16 ქულის სხვაობით – 89:73 სძლიეს.

ქართველი კალათბურთელი სასტარტო ხუთეულში იყო და 20 წუთში ისე შედეგიანი ვერ იყო, როგორც წინა მატჩებში – 5 ქულა, 1 მოხსნა, 3 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება.

შენგელიამ 5-დან 2 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, 3 სამქულიანი ააცილა.

8 მოგებითა და 3 მარცხით ლაბორალ კუჩა ცხრილში მე-4 ადგილზეა. მომდევნო მატჩს შენგელიას გუნდი სტუმრად, 23 დეკემბერს, აუტსაუდერ გიპუზკოა ბასკეტთან გამართავს.

ესპანეთის მეორე დივიზიონში სეზონის უნიათოდ დაწყების შემდეგ ქართველი ფორვარდის ლეიმა ბასკეტმა ბოლო 6 მატჩიდან მე-5 გამარჯვება მოიპოვა. ლაკორუნიელთა მორიგი მსხვერპლი ნავაროული პლანასა გახდა – 74:70.

ბურჯანაძეს ამჯერად შთამბეჭდავი ციფრები არ დაუფიქსირებია, თუმცა საკუთარ გუნდში მაინც საუკეთესო. ბექამ 29 წუთი ითამაშა და 9 ქულა, 10 მოხსნა, 3 პასი, 2 დაფარება და 1 ჩაჭრა მიითვალა. ქართველმა ფორვარდმა 2-დან 1 ორქულიანი, 6-დან 1 სამიანი და 6-დან 4 საჯარიმო ჩააგდო.

6 მოგებითა და 8 მარცხით ლეიმა ბასკეტმა 16-გუნდიან ლიგაში მე-10 ადგილზე აინაცვლა. მომდევნო მატჩს ლაკორუნიელები 30 დეკემბერს, სტუმრად ლეიდასთან ჩაატარებენ.

დიდებულად ითამაშა ვიქტორ სანიკიძემ თურქეთის ჩემპიონატში. თედ კოლეჯის ქართველმა ფორვარდმა თურქეთის უმაღლესი ლიგის მორიგ მატჩში ორმაგი დუბლი შეასრულა და თავისიანებს ტურკ ტელეკომი დაამარცხებინა.

სანიკიძის ანკარულმა გუნდმა ჩემპიონატი მძიმედ დაიწყო, თუმცა ბოლო ხანებში გამარჯვებებს უხშირა და ცხრილში მნიშვნელოვნად დაწინაურდა. მორიგი ტურის მატჩში ქართველმა ფორვარდმა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე 27 წუთი გაატარა. სანიკიძემ 8-დან 4 ორქულიანი, 5-დან 2 სამიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო.

სანიკიძემ მთლიანობაში 15 ქულა მოაგროვა, რასაც 13 მოხსნა და თითო ჩაჭრა-პასი მოაყოლა.

სანიკიძის გუნდს 5 გამარჯვება და 7 მარცხი აქვს. ის თურქეთის ჩემპიონატში მე-9 ადგილზე იმყოფება.

მორიგ ტურში, 23 დეკემბერს, თედ კოლეჯი სტამბოლში ბუიუქშეჰირს დაუპირისპირდება.

როგორც იქნა, შედეგიანი მატჩი ჩაატარა მანუჩარ მარკოიშვილმა. ამასთან, ქართველმა უკანახაზელმა თავი თურქეთის ერთ-ერთ მოწინავე გუნდთან გამოიჩინა. მისი 16 ქულა მნიშვნელოვანი დახმარება იყო დარუშაფაკასთვის, რომელმაც თურქეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში ბეშიქთაშს 99:86 სძლია.

მარკოიშვილი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 29 წუთი გაატარა. ქართველმა უკანახაზელმა შესაშური მიზანი გამოავლინა და 4-დან 4-ივე სამქულიანი ჩააგდო. ამას მანუჩარმა 3-დან 2 ორიანიც მოაყოლა და შეხვედრა 16 ქულით, 2 პასით და 1 მოხსნით დაასრულა.

7 მოგებითა და 4 მარცხით მარკოიშვილის გუნდს გალათასარაისა და ფენერბაჰჩეს კვალზე თურქეთის ჩემპიონატში მე-3 ადგილი უკავია. 24 დეკემბერს, მორიგ ტურში დარუშაფაკა სტუმრად ტრაბზონსპორს შეხვდება.

იტალიის სერია ა-ს მე-12 ტურში ნიკა მეტრეველის ბეტალანდ კაპო დორლანდო შინ პეზაროს დაუხვდა და 69:72 დამარცხდა.

ქართველი კალათბურთელი თამაშში 15 წუთით ჩაერთო და 2 ქულა და 4 მოხსნა მიითვალა. მეტრეველმა 3-დან 1 ორქულიანი ჩააგდო, სამქულიანი ააცილა.

მეტრეველის კლუბი 4 მოგებით და 8 მარცხით 16-გუნდიან ლიგაში მე-14 ადგილზე იმყოფება, მომდევნო მატჩს კი 23 დეკემბერს, სტუმრად, დოლომიტი ენერჯია ტრენტოსთან ჩაატარებს.

# შედეგები

## 20 დეკემბერი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

უოტფორდი-ლივერპული ............. 3:0
სუონსი-ვესტ ჰემი .......................... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 17 | 11 | 5 | 1 | 37-24 | 38 |
| 2.არსენალი | 16 | 10 | 3 | 3 | 29-13 | 33 |
| 3.სიტი | 16 | 10 | 2 | 4 | 32-17 | 32 |
| 4.ტოტენჰემი | 17 | 7 | 8 | 2 | 28-14 | 29 |
| 5.მანჩესტერი | 17 | 8 | 5 | 4 | 22-14 | 29 |
| 6.კრ.პალასი | 17 | 9 | 2 | 6 | 23-16 | 29 |
| 7.უოტფორდი | 17 | 8 | 4 | 5 | 21-16 | 28 |
| 8.ვესტ ჰემი | 17 | 6 | 7 | 4 | 25-21 | 25 |
| 9.ლივერპული | 17 | 6 | 6 | 5 | 20-22 | 24 |
| 10.ევერტონი | 17 | 5 | 8 | 4 | 31-24 | 23 |
| 11.სტოკი | 17 | 6 | 5 | 6 | 14-16 | 23 |
| 12.საუთჰემპტონი | 17 | 5 | 6 | 6 | 21-21 | 21 |
| 13.ვესტ ბრომვიჩი | 17 | 5 | 5 | 7 | 17-23 | 20 |
| 14.ბორნმუთი | 17 | 5 | 4 | 8 | 22-32 | 19 |
| 15.ჩელსი | 17 | 5 | 3 | 9 | 21-27 | 18 |
| 16.ნორვიჩი | 17 | 4 | 5 | 8 | 20-29 | 17 |
| 17.ნიუკასლი | 17 | 4 | 5 | 8 | 19-32 | 17 |
| 18.სუონსი | 17 | 3 | 6 | 8 | 15-24 | 15 |
| 19.სანდერლენდი | 17 | 3 | 3 | 11 | 18-33 | 12 |
| 20.ასტონ ვილა | 17 | 1 | 4 | 12 | 14-31 | 7 |

**ინგლისი. ჩემპიონშიპი**

უენსდი-ვულვზი ............................ 4:1
ლიდსი-პრესტონი ......................... 1:0
რედინგი-ბლექბერნი ..................... 1:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

რეალი-რაიო .................................. 10:2
ბილბაო-ლევანტე .......................... 2:0
გრანადა-სელტა ............................ 0:2
სოსიედადი-ვილიარეალი .............. 0:2
მალაგა-ატლეტიკო ........................ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 15 | 11 | 2 | 2 | 36-15 | 35 |
| 2.ატლეტიკო | 16 | 11 | 2 | 3 | 22-8 | 35 |
| 3.რეალი | 16 | 10 | 3 | 3 | 42-15 | 33 |
| 4.სელტა | 16 | 9 | 4 | 3 | 28-22 | 31 |
| 5.ვილიარეალი | 16 | 9 | 3 | 4 | 21-15 | 30 |
| 6.დეპორტივო | 16 | 6 | 8 | 2 | 25-16 | 26 |
| 7.ბილბაო | 16 | 7 | 3 | 6 | 24-18 | 24 |
| 8.სევილია | 16 | 6 | 5 | 5 | 21-19 | 23 |
| 9.ვალენსია | 16 | 5 | 7 | 4 | 21-14 | 22 |
| 10.ეიბარი | 16 | 5 | 6 | 5 | 19-19 | 21 |
| 11.ბეტისი | 16 | 5 | 5 | 6 | 13-19 | 20 |
| 12.ესპანიოლი | 16 | 6 | 2 | 8 | 16-26 | 20 |
| 13.მალაგა | 16 | 4 | 5 | 7 | 10-14 | 17 |
| 14.სოსიედადი | 16 | 4 | 4 | 8 | 17-22 | 16 |
| 15.ხეტაფე | 16 | 4 | 4 | 8 | 18-26 | 16 |
| 16.ხიხონი | 15 | 4 | 3 | 8 | 15-23 | 15 |
| 17.გრანადა | 16 | 3 | 5 | 8 | 17-27 | 14 |
| 18.რაიო | 16 | 4 | 2 | 10 | 18-37 | 14 |
| 19.ლას პალმასი | 16 | 3 | 4 | 9 | 12-23 | 13 |
| 20.ლევანტე | 16 | 2 | 5 | 9 | 12-29 | 11 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალკორკონი-ალბასეტე .................. 1:0
უესკა-ლეგანესი ............................. 1:1
ლიაგოსტერა-მირანდესი ............... 0:0
ვალიადოლიდი-ტენერიფე ............ 4:1
ოვიედო-ალმერია .......................... 1:0

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰერტა-მაინცი ................................. 2:0
გლადბახი-დარმშტადი .................. 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 17 | 15 | 1 | 1 | 46-8 | 46 |
| 2.დორტმუნდი | 17 | 12 | 2 | 3 | 47-23 | 38 |
| 3.ჰერტა | 17 | 10 | 2 | 5 | 26-18 | 32 |
| 4.გლადბახი | 17 | 9 | 2 | 6 | 34-30 | 29 |
| 5.ლევერკუზენი | 17 | 8 | 3 | 6 | 25-20 | 27 |
| 6.შალკე | 17 | 8 | 3 | 6 | 23-23 | 27 |
| 7.ვოლფსბურგი | 17 | 7 | 5 | 5 | 26-21 | 26 |
| 8.მაინცი | 17 | 7 | 3 | 7 | 23-23 | 24 |
| 9.კიოლნი | 17 | 6 | 6 | 5 | 18-21 | 24 |
| 10.ჰამბურგი | 17 | 6 | 4 | 7 | 19-23 | 22 |
| 11.ინგოლშტადტი | 17 | 5 | 5 | 7 | 11-18 | 20 |
| 12.აუგსბურგი | 17 | 5 | 4 | 8 | 21-26 | 19 |
| 13.დარმშტადტი | 17 | 4 | 6 | 7 | 17-26 | 18 |
| 14.აინტრახტი | 17 | 4 | 5 | 8 | 21-28 | 17 |
| 15.შტუტგარტი | 17 | 4 | 3 | 10 | 22-37 | 15 |
| 16.ვერდერი | 17 | 4 | 3 | 10 | 17-32 | 15 |
| 17.ჰანოვერი | 17 | 4 | 2 | 11 | 18-29 | 14 |
| 18.ჰოფენჰაიმი | 17 | 2 | 7 | 8 | 17-25 | 13 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბრაუნშვაიგი-კაიზერი .................. 1:1
დიუსბურგი-ბოხუმი ...................... 0:0
ფრაიბურგი-მიუნხენ 1860 ............ 3:0

**იტალია. სერია ა**

ატალანტა-ნაპოლი ........................ 1:3
ფიორენტინა-კიევო ...................... 2:0
ვერონა-სასუოლო ......................... 1:1
რომა-ჯენოა .................................... 2:0
ფროზინონე-მილანი ..................... 2:4
სამპდორია-პალერმო .................... 2:0
ტორინო-უდინეზე ......................... 0:1
ინტერი-ლაციო .............................. 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 17 | 11 | 3 | 3 | 23-11 | 36 |
| 2.ფიორენტინა | 17 | 11 | 2 | 4 | 33-15 | 35 |
| 3.ნაპოლი | 17 | 10 | 5 | 2 | 31-13 | 35 |
| 4.იუვენტუსი | 17 | 10 | 3 | 4 | 28-14 | 33 |
| 5.რომა | 17 | 9 | 5 | 3 | 32-18 | 32 |
| 6.მილანი | 17 | 8 | 4 | 5 | 24-21 | 28 |
| 7.სასუოლო | 16 | 7 | 6 | 3 | 20-15 | 27 |
| 8.ემპოლი | 17 | 8 | 3 | 6 | 23-22 | 27 |
| 9.ატალანტა | 17 | 7 | 3 | 7 | 19-19 | 24 |
| 10.ლაციო | 17 | 7 | 2 | 8 | 20-26 | 23 |
| 11.კიევო | 17 | 6 | 4 | 7 | 21-18 | 22 |
| 12.ტორინო | 16 | 6 | 4 | 6 | 21-20 | 22 |
| 13.უდინეზე | 17 | 6 | 3 | 8 | 15-24 | 21 |
| 14.სამპდორია | 17 | 5 | 5 | 7 | 24-26 | 20 |
| 15.ბოლონია | 17 | 6 | 1 | 10 | 19-24 | 19 |
| 16.პალერმო | 17 | 5 | 3 | 9 | 17-26 | 18 |
| 17.ჯენოა | 17 | 4 | 4 | 9 | 15-23 | 16 |
| 18.ფროზინონე | 17 | 4 | 2 | 11 | 17-34 | 14 |
| 19.კარპი | 17 | 2 | 4 | 11 | 15-33 | 10 |
| 20.ვერონა | 17 | 0 | 8 | 9 | 12-27 | 8 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

სტ.ეტიენი-ანჟე ............................ 1:0
გაზელეკი-ლიონი .......................... 2:1
ბორდო-მარსელი ........................... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 19 | 16 | 3 | 0 | 48-9 | 51 |
| 2.მონაკო | 19 | 8 | 8 | 3 | 25-23 | 32 |
| 3.ანჟე | 19 | 8 | 7 | 4 | 17-11 | 31 |
| 4.კაენი | 19 | 9 | 3 | 7 | 21-22 | 30 |
| 5.ნიცა | 19 | 8 | 5 | 6 | 32-23 | 29 |
| 6.სტ.ეტიენი | 19 | 9 | 2 | 8 | 22-22 | 29 |
| 7.რენი | 19 | 6 | 9 | 4 | 25-21 | 27 |
| 8.ლორიანი | 19 | 6 | 8 | 5 | 27-26 | 26 |
| 9.ლიონი | 19 | 7 | 5 | 7 | 23-23 | 26 |
| 10.მარსელი | 19 | 6 | 7 | 6 | 28-21 | 25 |
| 11.ლილი | 19 | 5 | 9 | 5 | 15-13 | 24 |
| 12.გაზელეკი | 19 | 6 | 6 | 7 | 20-22 | 24 |
| 13.ნანტი | 19 | 6 | 6 | 7 | 14-17 | 24 |
| 14.ბორდო | 19 | 5 | 8 | 6 | 23-28 | 23 |
| 15.მონპელიე | 19 | 6 | 4 | 9 | 22-25 | 22 |
| 16.ბასტია | 19 | 6 | 4 | 9 | 20-24 | 22 |
| 17.რეიმსი | 19 | 5 | 6 | 8 | 19-24 | 21 |
| 18.გენგამი | 19 | 5 | 4 | 10 | 17-27 | 19 |
| 19.ტულუზა | 19 | 3 | 8 | 8 | 21-33 | 17 |
| 20.ტრუა | 19 | 0 | 8 | 11 | 10-35 | 8 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ექსელსიორი-კამბური ................... 1:4
ჰერენვენი-დენ ჰააგი .................... 0:4
ნაიმეგენი-ფეინოორდი .................. 3:1
ტილბურგი-როდა ........................... 3:2
აიაქსი-გრააფსხაპი ........................ 2:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბენფიკა-რიუ ავე ........................... 3:1
მორეირენსე-ნასიონალი ................ 2:0
ტონდელა-სეტუბალი ..................... 1:3
მადეირა-სპორტინგი ...................... 1:0

**ბელგია. პრო ლიგა**

ბრიუგე-ანდერლეხტი .................... 1:4
ოსტენდე-სტანდარდი .................... 4:1
გენტი-კორტრაიკი .......................... 3:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პაოკი-პლატანიასი ......................... 1:0
იანინა-ქსანთი ................................ 1:1
პანეთოლიკოსი-ირაკლისი ............. 2:0
პანთრათიკოსი-პანათინაიკოსი ..... 1:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

სივასი-ქაისერი .............................. 0:0
გალათასარაი-აკჰისარი ................. 3:2
ბასაკშეჰირი-ესკიშეჰირი ............... 2:1
გენჩლერი-ფენერბახჩე .................. 0:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

კორონა-ლეგია ................................ 1:3
პიასტი-ლეხი .................................. 2:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# გვარდიოლა ბაიერნიდან მიდის

## მას ანჩელოტი შეცვლის

მიუნხენის ბაიერნის მმართველმა დირექტორმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ დაადასტურა, რომ გუნდის მთავარი მწვრთნელი ხოსეპ გვარდიოლა გუნდთან კონტრაქტს არ გაახანგრძლივებს.



კარლო ანჩელოტი

ესპანელი სპეციალისტი კლუბს სეზონის დასრულებისას დატოვებს, მას კი კარლო ანჩელოტი ჩაანაცვლებს.

**კარლ-ჰაინც რუმენიგე:**

– გვარდიოლას მადლობელნი ვართ. იმედი მაქვს, მიმდინარე სეზონში მასთან ერთად რამდენიმე ტიტულს ვიზეიმებთ. ანჩელოტი კიდევ ერთი წარმატებული მწვრთნელია, რომელიც ბაიერნში იმუშავებს. მასთან თანამშრობლობით ბედნიერნი ვართ.

კარლო ანჩელოტი მიუნხენელებთან 3-წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

მიუნხენის ბაიერნში დანიშვნაზე კომენტარი გააკეთა იტალიელმა მწვრთნელმაც:

– ბაიერნის გაწვრთნა ჩემთვის დიდი პატივი იქნება. ნდობისთვის მსურს გუნდს მადლობა გადავუხადო. მოხარული ვარ ახალი გამოწვევის მიღებით. ამავე დროს, მსურს ჩემს კოლეგას, პეპ გვარდიოლას, ყოველივე საუკეთესო ვუსურვო.

მ. ჟ.

# პელეგრინი ზაფხულში შეიძლება ჩელსის მწვრთნელი გახდეს

ლონდონის ჩელსიმ ჟოზე მაურინიო დაითხოვა და წლევანდელ სეზონში მის ადგილს ჰოლანდიელი სპეციალისტი გუს ჰიდინკი დაიკავებს.



მიუხედავად ამისა, არ წყდება ხმები იმის შესახებ, რომ ზაფხულში ჩელსის ახალი მწვრთნელი ეყოლება. ერთ-ერთი კანდიდატურა მანჩესტერ სიტის ამჟამინდელი თავკაცი მანუელ პელეგრინია, რომელსაც თავის მხრივ არ აქვს თავის გუნდში მყარი პოზიციები და, სავარაუდოდ, ზაფხულში სიტის დატოვებს.

ინგლისურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, მანუელ პელეგრინის უკვე ჰქონდა შეხვედრა ჩელსის წარმომადგენლებთან.

62 წლის სპეციალისტს ძალიან მოსწონს პრემიერლიგა და სიტისთან განშორების შემთხვევაში, ის შეეცდება, კარიერა სხვა ინგლისურ გუნდში გააგრძელოს.

# გიორგი ყორღანაშვილი დაინიშნა



ახალგაზრდა მსახიობის გიორგი ყორღანაშვილის უკურნებელი სენით დაავადებამ რამდენიმე წლის წინ სრულიად საქართველო შეძრა. მისმა კოლეგებმა, მსახიობებმა, მეგობრებმა, თეატრებმა გრანდიოზული კამპანია წამოიწყეს გიორგის სიცოცხლის გადასარჩენად.

პროფესიული წარმატების შემდეგ, გიორგიმ პირადი ცხოვრებაც არ დაივიწყა და დაინიშნა. მისი რჩეულია სალი, რომლის ფოტოც მსახიობმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა და ნიშნობაც გაასაჯაროვა.

გიორგიმ და სალიმ უამრავი მოწონება, დადებითი სურვილები და მილოცვა მიიღეს.

ეკა ირემაშვილი

# ქეთი დოლიძე 70 წლისაა

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და ფესტივალ „საჩუქრის“ დამაარსებელი ქეთი დოლიძე იუბილარია. მას 70 წელი შეუსრულდა. რეჟისორის იუბილესთან დაკავშირებით, კინომსახიობთა თეატრში კვირეული მოეწყო, სადაც შედგა პროექტი „შეხვედრები თუმანიშვილის თეატრში“. მისი ეგიდით, ქართველი თეატრალები იუბილარ რეჟისორს შეხვდნენ.




თეატრში შეიკრიბა მიხეილ თუმანიშვილის ცნობილი მე-11 აუდიტორიის ორი პლეადა. მათ ქეთი დოლიძის მისამართით საქებარი სიტყვები არ დაიშურეს და იუბილარ ხელოვანს საუკეთესო სურვილების ასრულება უსურვეს.

როგორც ქეთი დოლიძემ განაცხადა, მას მშობლიურმა თეატრმა სიურპრიზი მოუწყო.

**ქეთი დოლიძე:**

– მადლობა თეატრს, რომ ასეთი სიურპრიზი მომიწყვეს და ცოტა გავმხიარულდით. დარბაზში შეიკრიბა ორი მე-11 აუდიტორია. ასე ერქვა ჩვენს სახელოსნოს ბატონ მიშასთან. პირველი მე-11 და მეორე მე-11 ერთად ვიყავით და ჩვენი ცხოვრების უბედნიერესი მომენტები გავიხსენეთ.

ეკა ირემაშვილი

ჩვენს საყვარელ, იმედისმომცემ შვილს

იზოლდა ჭყოიძეს!

ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ახალ-ახალ წარმატებებს საზოგადოებრივ საქმიანობაში და ბედნიერ ცხოვრებას საყვარელ ოჯახთან ერთად.

გფარავდეს ღმერთი.

მშობლები

გივი ჭყოიძე, ჟუჟუნა მაღრაძე



# ობამამ საკუთარი შარდის დალევაზე უარი თქვა

აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ბეარ გრილსის შოუში მონაწილეობისას განაცხადა, რომ ის არავითარ შემთხვევაში არ დალევდა შარდს,



თუნდაც ამაზე მისი გადარჩენა იყოს დამოკიდებული. ასეთი განცხადება ქვეყნის პირველმა პირმა რეალითი-შოუს ერთ-ერთ ეპიზოდში გააკეთა, რომელიც ალიასკაზე იქნა გადაღებული.

– მე ასეთი რამ არ მჩვევია და ამას შოუს გამო ნამდვილად არ გავაკეთებდი, – განაცხადა პრეზიდენტმა.

ამავე დროს გადაცემის გადაღების დროს ობამა დათანხმდა გრილსს, რომ მასთან ერთად გაესინჯა ორაგული, რომელიც დათვს ჰყავდა დაჭერილი და სანახევროდ შეჭმული.

ბეარ გრილსი ბრიტანელი მოგზაური და ტელეწამყვანია. თავის შოუში ის თავის სტუმარ ვარსკვლავ გმირებთან ერთად ველურ ბუნებაში გადარჩენის ჩვევებს ხვეწს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



# სერფერმა დანიის პრინცი გადაარჩინა

ავსტრალიის ქალაქ გოლდ-კოსტში ახალზელანდიელმა სერფერმა ნიკ მალკოლმმა დანიის ტახტის მემკვიდრე პრინცი კრისტიანი დაღუპვისგან იხსნა. ინციდენტი ავსტრალიის კვინსლენდის შტატში სამეფო ოჯახის მერმეიდის პლაჟზე დასვენების დროს მოხდა.

– ჩვენ ყმაწვილი მანამდე გამოვიყვანეთ, სანამ სიტუაცია უფრო სერიოზულ სახეს მიიღებდა. ის თვითონ წყლიდან თავის დაღწევას ვერ შეძლებდა, – განაცხადა მაშველმა სტიუარტ კეიმ.

თვითმხილველთა თქმით, კრისტიანი მძლავრმა დინებამ გაიტაცა და ტალღებმა ის ღია ოკეანეში გაიყვანა. პრინცი ტალღებს სერფერმა გამოსტაცა და ის დანიის მემკვიდრე პრინცს, 47 წლის ფრედერიკსა და მის მეუღლეს, 43 წლის პრინცესა მერის ჩააბარა. თავად სერფერმა შემთხვევის თაობაზე კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადა. მან არ იცოდა, რომ ის გადარჩენაში დანიის რიგით მეორე ტახტის მემკვიდრეს ეხმარებოდა.

ყმაწვილი არ დაშავებულა. სამეფო ოჯახის წევრებმა კი დასვენება არ შეწყვიტეს და პლიაჟზე შემთხვევის მეორე დღეს დაბრუნდნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ასტროპროგნოზი

## 22 დეკემბრისათვის



**ვერძი** – ქედმაღლობა, ამპარტავნობა, იმპულსურობა გარშემომყოფებთან კონფლიქტის მიზეზი გახდება. ნუ გარისკავთ. საღამოს, შესაძლოა, პარტნიორებისგან საინტერესო წინადადება მიიღოთ. **კურო** – მატერიალური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. თუ ახლობლებმა დახმარება გთხოვეს, უარს ნუ ეტყვით, თორემ ურთიერთობა გაგიფუჭდებათ. **ტყუპები** – შესაძლოა, ქცევის მანერის შეცვლა მოგიხდეთ. ეს კონკრეტულ სიტუაციაზე იქნება დამოკიდებული. თავი შეიკავეთ ემოციების გამოვლენისაგან. **კირჩხიბი** – უფროსობას თქვენი მუშაობა არ მოსწონს. ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე გამოიჩინეთ. ერიდეთ კონფლიქტს გარშემომყოფებთან. დღის მეორე ნახევარში კარგი იქნება ბუნებაში გასვლა და დასვენება. **ლომი** – დღეს შეეცადეთ, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ მიიღოთ. პროფესიული საქმიანობა თქვენგან მაქსიმალურ კონცენტრაციას, დისციპლინასა და ორგანიზებულობას მოითხოვს. **ქალწული** – გამოიჩინეთ საზრიანობა და გონიერება, რაც ნებისმიერი რთული სიტუაციიდან თავის დაღწევაში დაგეხმარებათ. თქვენი სულიერი და შემოქმედებითი პოტენციალი იზრდება. **სასწორი** – პასიური, მძიმე, რუტინული დღეა, თუმცა არ არის გამორიცხული ცვლილებები კარიერაში, საზოგადოებრივ სფეროში. ჯანმრთელობას სერიოზულად მიხედეთ. **ღრიანკალი** – თუ დააშავეთ, აღიარეთ და ბოდიშიც მოიხადეთ. საკუთარი შეცდომები გააანალიზეთ და გამოასწორეთ. **მშვილდოსანი** – საჭიროების შემთხვევაში კომპრომისზე წადით. ურთიერთგაგება და დათმობა დღის დევიზია. ერიდეთ ემოციების გამოვლენას. **თხის რქა** – პატივმოყვარეობა და ქედმაღლობა გარშემომყოფებთან ურთიერთობაში კარგს არაფერს მოგიტანთ. ადამიანებს სითბო აჩუქეთ და ისინიც შესაბამისად გიპასუხებენ. **მერწყული** – იყავით თვითკრიტიკული. ეს დღე ნეგატიური ტენდენციებით ხასიათდება. ნებისმიერი კომერციული აქტივობა ფინანსური კრახით დამთავრდება. **თევზები** – ყურადღების კონცენტრაციის გარეშე სამუშაოს თავს ვერ გაართმევთ. საქმიანი შეხვედრებისათვის შეუფერებელი პერიოდია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი

**შვეულად:** 1. ისტორიული სამთავრო სამხრეთ საქართველოში; 2. ავი, ანჩხლი დედაკაცი; 3. მანძილის საზომი ერთეული საფრანგეთში; 5. ეთერზეთოვანი სუბტროპიკული მცენარე; 6. იაპონიის ჰიმნი; 9. ჩეხური ლუდი; 10. უბანი ქუთაისში; 11. ესპანური ჩქარტემპიანი ცეკვა გიტარისა და კასტანიეტების თანხლებით; 14. მარადმწვანე ხე, ბუჩქი; 16. მთიბავთა სიმღერა ფშავ-ხევსურეთში; 18. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა.

**თარაზულად:** 1. ქალაქი კახეთში, 4. ისტორიული სასტუმრო ნიცაში; 7. დიპლომატიური კურიერის სპეციალური დალუქული ხელჩანთა; 8. პატარა საოქრომჭედლო გრდემლი; 12. ნავსადგური უკრაინაში; 13. ბანკის მევალეთა სარეგისტრაციო დავთარი; 15. შენობის სახურავად გამოყენებული ნაპობი თხელი ფიცარი; 17. ქართული ჟურნალი; 19. საქართველოს ეროვნული გმირი; 20. ფულის ერთეული ირანში; 21. ყოველდღიური, ხუთჯერადი ლოცვა არაბულ ქვეყნებში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. ესპანეთი; 6. სტანდარტი; 9. აქციზი; 10. ნიანგი; 11. ლინზა; 13. მარტი; 15. მაგიდა; 18. არაკი; 21. ტრამპლინი; 22. ემბარგო; 23. ნამგალი.

**შვეულად:** 1. ასპექტი; 2. „მიმინო“; 3. პარაგვაი; 4. მინიმალი; 7. თითლიბაზი; 8. კრიპტონი; 12. ფართინგი; 14. ვალტორნა; 16. ტრალერი; 17. ციტრონი; 19. პინა; 20. სარი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. სოლ; 2. იანკი; 3. დო; 4. ადამი; 5. რამლი; 6. პიანო; 7. რკალი; 8. აარე; 9. ტირი; 10. პომადა; 11. პაი; 12. ოლივიე; 13. ეტალონი; 14. აცე; 15. ავე; 16. კამეა; 17. ტუია; 18. ცეცე; 19. სია; 20. ვენა; 21. კალა; 22. რელე; 23. კეფირი; 24. კორო; 25. კოლონი; 26. ნიკ; 27. მაჟორი; 28. ალეპო; 29. ზერო; 30. ალო; 31. ზილი; 32. ეზო; 33. პი; 34. კიმონო; 35. პარანა.

**სურათებზე:** პეტა უილსონი; ალბერტო ჯილარდინო.

# ჯანეტ ქერდიყოშვილი „მის სამყაროს“ ტოპებს მიღმა დარჩა

„მის მსოფლიოზე“ ნუკა ყარალაშვილის წარუმატებლობის შემდეგ, „მის სამყაროზე“ ჯანეტ ქერდიყოშვილმაც მისი ბედი გაიზიარა.

„მის საქართველო 2011“ ჯანეტ ქერდიყოშვილი „მის სამყარო 2015“-ზე რჩეულებს შორის არ დასახელდა და ტოპ 15 გოგონას შორისაც არ აღმოჩნდა. ქართველი ლამაზმანი კონკურსზე წარდგა როგორც საცურაო კოსტიუმით, ასევე ეროვნული სამოსით. მან მონაწილეობა მიიღო სპეციალურ გასაუბრებაში ჟიურის წევრებთან, რომელსაც არანაკლებ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე საკუთარი სხეულის წარმოჩენას სცენაზე.



ქართული ტელეარხები პირდაპირ ეთერში გადასცემდნენ მის სამყაროს ფინალური შოუს ეპიზოდებს. იმედის დილის წამყვანმა ილო ბეროშვილმა ჯანეტ ქერდიყოშვილს საჯაროდ, პირდაპირ ეთერში სთხოვა ცოლობა:

— ჟანეტ, გამომყევი ცოლად, აქვე გეუბნები, — განაცხადა წამყვანმა და ახლა ქართველი მოდელისგან პასუხის მოლოდინის რეჟიმშია.

წლევანდელ „მის სამყაროში“ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 80 გოგონა მონაწილეობდა. მას მოულოდნელობით და უხერხულობის გარეშე არ ჩაუვლია. კონკურსის ჟიურის გადაწყვეტილებით, „მის სამყარო 2015“ ფილიპინების წარმომადგენელი გახდა, თუმცა შოუს წამყვანმა სტივენ ჰარვიმ გამარჯვებული შეცდომით გამოაცხადა და პირველი ადგილი მის კოლუმბიას მიანიჭა.

გასული წლის მის სამყაროს ტიტულის მფლობელმა გარდამავალი გვირგვინი მის კოლუმბიას დაადგა თავზე. მისი ზეიმი რამდენიმე წუთს გაგრძელდა. წამყვანმა ბოდიში მოიხადა და განაცხადა, რომ პირველ ადგილზე არა მის კოლუმბია, არამედ მის ფილიპინები გავიდა. მის სამყარო 2014-მა მის კოლუმბიას გვირგვინი მოხსნა და მის ფილიპინებს დაადგა თავზე.

„მის სამყარო 2015“ მის ფილიპინები გახდა, მეორე ადგილი მის კოლუმბიას მიენიჭა, მესამე კი მის ამერიკას.

„მის სამყარო 2015“ ლას ვეგასში ჩატარდა.

## ნინი ბრეგვაძემ მსახიობობა დაიწყო

რეპერი ნინი ბრეგვაძე პირველად მსმენელის წინაშე „ახალ ქართულ ხმაში“ გამოჩნდა, მაგრამ პოპულარობა მას „იქს ფაქტორმა“ მოუტანა, სადაც ფინალისტი გახდა და უამრავი საჩუქრითაც დაჯილდოვდა.



ნინი უკვე მუშაობს თავის სადებიუტო ალბომზე და პარალელურად სხვადასხვა ფილმებისთვის საუნდტრეკებს წერს. ფილმისთვის „აუტანელი არდადეგები“, რომელიც საქართველოს კინოთეატრებში 24 დეკემბრიდან გამოვა, ნინიმ ირაკლი ჩაჩუასთან ერთად საუნდტრეკი ჩაწერა. ფილმის შემქმნელებმა ნინის ფილმში მონაწილეობა შესთავაზეს და მომღერალმაც თანხმობა განაცხადა.

**ნინი ბრეგვაძე:**

— რეპერი ნინელი მხოლოდ რეპერობას არ დასჯერდა და მსახიობი ნინელიც გახდა. ძალიან სახალისო და საყვარელი ფილმს „აუტანელი არდადეგები“ იხილავთ კინოთეატრებში 24 დეკემბრიდან, რომლის საუნდტრეკზეც ვიმუშავეთ მე და ირაკლი ჩაჩუამ.

გარდა ამისა, პატარა, ძალიან სასაცილო როლიც ვითამაშე, ბანაკში ვმღერი კიდეც, რაც იმას ნიშნავს, რომ ფილმში ვთამაშობ და ეს არის ჩემი სამსახიობო კარიერის პირველი ნაბიჯები. ასე რომ, მოდით ყველანი კინოთეატრებში და შეაფასეთ ჩემი სამსახიობო ნიჭიც.

## ბიჭოლა ნუკა ყარალაშვილს ბოდიშს უხდის

დიზაინერი ბიჭოლა თეთრაძე, რომელიც წლებია უკრაინაში მოღვაწეობს, „მის საქართველო 2015“-ს ნუკა ყარალაშვილს საჯაროდ უხდის ბოდიშს.



როგორც დიზაინერი აცხადებს, მან წლების წინ ამ გოგონას აწყენინა და ახლა სურს მისგან ამ წყენის გამო პატიება ითხოვოს. იმის დასტურია ისიც, რომ ბიჭოლა სპეციალურად ერთი დღით ჩინეთის კუნძულ სანიაზე ჩაფრინდა, რათა პირადად დასწრებოდა „მის მსოფლიოს“ სილამაზის საერთაშორისო კონკურსს და ნუკა ყარალაშვილისთვის ბოლო წუთამდე ეგულშემატკივრა. ბიჭოლამ არც ის დამალა, რომ ნუკა მისთვის უკვე გამარჯვებულია და მის წარმატებებში ყოველთვის დარწმუნებული იქნება.

**ბიჭოლა:**

— შევეცდები მოკლედ დავწერო, თან ქართულად! დაახლოებით 8-9 წლის წინ კიკალასტუდიოში ერთ გოგონას შევხვდი. ჩემი ენის გამო ამ გოგონასთან მომივიდა პატარა უთანხმოება, რისიც ახლა ძალიან მრცხვენია, ძალიან ვაწყენინე, შეიძლება ეს მისთვის დიდი სტიმულიც იყო, დროთა განმავლობაში გამოვასწორე შეცდომები და ამ გოგონასთან დავმეგობრდი. ის კონფლიქტის დღე არასდროს გაგვხსენებია, მაგრამ მე სულ მინდოდა მომეხადა ბოდიში!

ალბათ იმ დროს ვერც ის და ვერც მე ვერ ვიფიქრებდით იმას, რომ ის „მის საქართველო 2015“ იქნებოდა, ან მე ვიქნებოდი იქ, სადაც ახლა ვარ. აი ამ ერთადერთი მიზეზის გამო ჩავფრინდი ჩინეთის კუნძულ სანიაზე, მხოლოდ ერთი დღით, რომ მეგულშემატკივრა ამ გოგონასთვის!

## აკაკი ხორავას სახელობის თეატრი რეაბილიტირებულია



ქართული თეატრისა და კინოს გამორჩეული ვარსკვლავის აკაკი ხორავას სახელობის თეატრი რეაბილიტირებულია.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წლევანდელი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სენაკში არსებული თეატრის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი დასრულებულია.

სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკა ანთიძემ და მისმა მოადგილემ პაატა გაფრინდაშვილმა ადგილზე მოინახულეს.

თეატრის პირველი ეტაპის რეაბილიტაციის ფარგლებში ჩატარდა პირველადი აღდგენითი სამუშაოები, გაკეთდა სახურავის რეაბილიტაცია და დამონტაჟდა სადრენაჟე სისტემა.

ზამთრის დადგომასთან ერთად სარეაბილიტაციო სამუშაოები შეჩერებულია და 2016 წელს გაგრძელდება, 2017 წელს კი შენობა სრულად რეაბილიტირდება.

## სამგლოვიარო განცხადებები



მეუღლე ჯემალ კვირიკაშვილი, დედა ნინო სისოევა, შვილები ჯანო და გიორგი კვირიკაშვილები, რძლები ნანა მშვიდობაძე და მაკა ცინაძე, შვილიშვილები ლაშა, ანა, ნინო, გიორგი და ნიკოლოზ კვირიკაშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ლიანა კვირიკაშვილი**

პანაშვიდი: 22, 23 დეკემბერს, ზაჰესის დასახლება, ყაზბეგის ქ.19-ში.

გამოსვენება: ხუთშაბათს, 24 დეკემბერს, 15 საათზე, საბურთალოს სასაფლაოს ამაღლების სახელობის ტაძრიდან.

მეუღლე ბელა კაჭარავა, შვილები დავით, ზურაბ ქევანიშვილები, რძალი ნათია მეჭურჭლიშვილი, შვილიშვილები თორნიკე, ბექა ქევანიშვილები, მძახლები ნანა, ვანო მეჭურჭლიშვილები, ძმისშვილები მანანა, ირმა ქევანიშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, ცოლისძმა ომარ კაჭარავა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბეჟან შალვას ძე ქევანიშვილი**

პანაშვიდი: 22, 23 დეკემბერს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 24 დეკემბერს, 14 საათზე.

მისამართი: დიღმის მასივი, V კვარტალი, XX კორპუსი, III სადარბაზო, XI სართული.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## იკორთას საფრთხე ემუქრება



ცხინვალის სარეაბილიტაციო პროგრამაში შეტანილი კიდევ ერთი უნიკალური ქართული ძეგლი იკორთა საფრთხეშია. სპეციალისტების მტკიცებით, მასზე თვითნებურად განხორციელებულმა სამუშაოებმა, შესაძლოა სავალალო შედეგები გამოიწვიოს.

იკორთის მონასტერი 1172 წელს არის აგებული და სრულიად უნიკალურია თავისი არქიტექტურით და ისტორიული მნიშვნელობით. იქ არიან დაკრძალული კახეთის აჯანყების ხელმძღვანელები ბიძინა ჩოლოყაშვილი და შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები.

ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმმა ცემენტით უკვე გადალესა ლიახვის ხეობაში მდებარე თირის მონასტერი. ტაძარში ისტორიული მხატვრული ფრაგმენტები განადგურებულია. უმძიმეს მდგომარეობაშია სამონასტრო კომპლექსში შემავალი ნაგებობების კედლებიც.

თირის სამონასტრო კომპლექსზე მომუშავე ჯგუფმა გომართის ეკლესიაც დააზიანა. იგივე საფრთხე ემუქრება იკორთასაც. კიდევ რომელ ქართულ ტაძრებს შელესავენ ცხინვალის სარეაბილიტაციო პროგრამით, ამ დროისთვის ქართული მხარისთვის უცნობია.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## TV პროგრამა

სამშაბათი, 22 დეკემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 12.30 "კომუნიკატორი" 13.30 დ/ფ "ფოტო" 14.05 მხ/ფ "**ქრისთი დაბრუნება ქათერ გეფში**" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 18.05 "სიტყვების თამაში" 18.30, 19.01 თოქ–შოუ "რეალური სივრცე" 19.30 "ტელებლოგი" 21.00 ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" 22.00 მხ/ფ "**შიშის კონცხი**" (გ.პეკი) 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**ვაი დედიკო!**"

08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.10 "აფხაზეთი" 11.00 დ/ფ "ინკების მარილი" 13.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 14.00, 16.00 ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.50 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**გზაჯვარედინი**" 11.20 სერ. "**რჩეული**" 12.30 დღის შოუ 17.35 სერ. "**დაკარგული წლები**" 18.45, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 Voice - საქართველო 00.00 ილო ბეროშვილის შოუ 01.00 მხ/ფ "**ღამე მშვიდობისა" მთვარევ**" (ქ.პანაბეიქერი)

07.00, 15.40 სერ. "**ლამაზი სიზმარი**" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.55 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.55 სერ. "**ქარადაი**" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 არჩევანი 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.10 ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას 07.55 საქართველოს სამართლის ისტორია 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 პატერიკი 10.40 საქართველოს ქალაქები "ბორჯომი" 11.10 თაობა ზეტი 11.30 გამოყენებითი ხელოვნება "მეფეთა ფუფუნება, მარიონეტები–ირმა ქააძე" 11.40 ღვთის სახლი 12.10 მხ/ფ "**არასერიოზული კაცი**" 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "კლავია მინიატა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 ქართული ანიმაციური ფილმი 15.40 საუკუნის პორტრეტები- კირიონ II 16.20 მგზავრები წუთისოფლისა "ფშავი–მაღაროსკარი, ჩარგალი 17.10 დ/ფ "უგვირგვინო მეფე" 17.45 სიბრძნისმეტყველება 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ქართული ხმები-"გორი" 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ისტორიის გაკვეთილი 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 დ/ფ 00.30 ერთსულოვნების სალონი 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია ოლივერ ტვისტი" (ჟესტიკულაციით) 7.55 გადაცემა "საქმიანი დილა" 10.05 სერ. "**სხვისი სხეული**" 11.05 სერ. "**ქუჩეი და გუნეი**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30, 14.05, 1.30 სერ. "**ტატიანა**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 "თეკუნას კულინარიუმი" 16.05 სერ. "**ჩვენ გვერდით**" 17.05, 2.15 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. "**ბერძენი ქალი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**ბანდიტების დედოფალი**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 23.00 სერ. "**მჟნოსავი-2**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. იაპონური ჭიდაობა; 2. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. იგავ-არაკთა მამამთავარი; 4. ბრიტანეთში მოღვაწე ქართველი საესტრადო მომღერალი ქალი; 5. ქორწინების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 6. გაუთლელი ხის მორებით ნაგები სახლი სამეგრელოში; 8. მწერების შემსწავლელი მეცნიერი; 10. ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 11. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 14. სამურაბე ლამბაქი; 15. ნიადაგის დასამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო იარაღი; 16. ვულკანიდან ამოფრქვეული სილიკატური მასა.

**თარაზულად:** 1. რაიონული ცენტრი იმერეთში; 4. დიდგვაროვანთა უმაღლესი ტიტული ინდოეთში; 7. გარკვეული ვადითა და პირობებით გაცემული თანხა; 9. საპატარძლოსთვის მირთმეული საქორწილო ნიშანი; 12. ქართველი მოგზაური, გინესის რეკორდსმენი; 13. ხელოვნური მარმარილო; 14. ქვის, ღორღის დამაქუცმაცებელი მანქანა; 17. კურკოვანი ხილი; 18. პირობითი, საიდუმლო ნიშნებით შედგენილი ბარათი; 19. პატარა, საოქრომჭედლო გრდემლი; 20. სამოსამსახურეო ჯიშის ძაღლი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


22 დეკემბრისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.3978 |
| ევრო | 2.5944 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.5787 |
| 100 რუსული რუბლი | 3.3820 |

## ამინდის პროგნოზი 22 დეკემბრისთვის






## კალეიდოსკოპი

### ცუკერბერგმა შვილი ჯედაის კოსტიუმში გამოაწყო

სოციალურ ქსელ ფეისბუქის დამფუძნებელმა მარკ ცუკერბერგმა თავისი ახლად დაბადებული გოგონას მაქცის ფოტოსურათი გამოაქვეყნა, რომელშიც ის ჯედაის კოსტიუმში გამოწყობილია აღბეჭდილი, ხოლო გვერდით სათამაშოებია, რომლე-



ბიც ასევე ფილმ „ვარსკვლავური ომების“ მოტივებზეა შექმნილი.

ამერიკელმა ბიზნესმენმა ფოტოსურათს დაურთო კომენტარი, რომელშიც წერია: „ძალა ამ პატარას მხარესაა“.

ამ მომენტისთვის სურათს 1,7 მილიონზე მეტი მოწონება აქვს მიღებული.

### ბაღდადში „მის ერაყი“ აირჩიეს

ერაყის დედაქალაქ ბაღდადის სასტუმროში ჩატარდა სილამაზის კონკურსი „მის ერაყის“ წოდების მოსაპოვებლად. ეს კი იმითაცაა აღსანიშნავი, რომ ბოლოს სილამაზის კონკურსის გამარჯვებული ამ ქვეყანაში 1972 წელს დასახელდა.



აღსანიშნავია, რომ ეს მოვლენა მნიშვნელოვანია იმ ქვეყნისთვის, სადაც როგორც სუნიტი, ისე შიიტი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა კონსერვატიული რელიგიური შეხედულებების მიმდევარია. კონკურსში მონაწილეობას 150 გოგონა იღებდა, მიუხედავად იმისა, რომ კონკურსის ჩატარებას ადგილობრივი ჩინოსნები ეწინააღმდეგებოდნენ.

„მის ერაყის“ გამარჯვებული ქალაქ კირკუკის წარმომადგენელი 20 წლის შაიმა აბდელპახმანი გახდა.

– მახარებს ის, რომ ჩემი ქვეყანა მომავლისკენ იყურება. ამ უდიდესმა მოვლენამ ერაყელებს სახეზე ღიმილი დაუბრუნა, – განაცხადა სილამაზის კონკურსის გამარჯვებულმა.

აღსანიშნავია, რომ კონკურსის მონაწილე რამდენიმე გოგონამ მუქარების გამო საკუთარი კანდიდატურა მოხსნა.

### „მის სამყარო“ ფილიპინელი ლამაზმანი გახდა

ამერიკის ქალაქ ლას-ვეგასში გამართულ კონკურსში „მის სამყარო – 2015“ ფილიპინების წარმომადგენელმა, 26 წლის პია ალონსო ვირტცბახმა გაიმარჯვა. ეს ინფორმაცია ღონისძიების ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.




თავდაპირველად წამყვანის, სტივ ჰერვის, შეცდომის გამო, გვირგვინი 21 წლის კოლუმბიელ არაიდნა გუტიერეს არევალოს გადაეცა. წამყვანმა შეცდომით დაასახელა ახალი „მის სამყაროს“ ტიტულის მფლობელი, მაგრამ მას შემდეგ, რაც კოლუმბიელს უკვე დაადგეს თავზე გვირგვინი, ჰერვიმ აღიარა, რომ არასწორად წაიკითხა გამარჯვებულის სახელი.

ამის შემდეგ გუტიერეს გვირგვინი თავიდან მისმა თანამემამულემ, გასული წლის კონკურსის გამარჯვებულმა პაულინა ვეგამ მოხსნა და ალონსოს დაადგა თავზე.

ფილიპინელ-გერმანული წარმოშობის მოდელი გერმანიაში დაიბადა. ზოგიერთი ინფორმაციით, მას რომანტიული ურთიერთობა აქვს ფილიპინების პრეზიდენტ აკინო III-სთან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# დავით პეტრიაშვილი ტრაგიკულად დაიღუპა

## მას პატრული დაეჯახა

უეფას ეროვნული ასოციაციების სამმართველოს უფროსი მენეჯერი, დავით პეტრიაშვილი, ტრაგიკულად დაიღუპა.




პეტრიაშვილი შვეიცარიიდან საშობაო არდადეგებზე თბილისში ჩამოვიდა და ავტოსაგზაო შემთხვევის მსხვერპლი გახდა. ქართველ საფეხბურთო მაღალჩინოსანს, გზის ფეხით გადაკვეთის დროს, საპატრულო ეკიპაჟი დაეჯახა, რის შედეგადაც პეტრიაშვილი ადგილზე გარდაიცვალა.

პროკურატურა, საქმეს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის, მეხუთე ნაწილით იძიებს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

აღნიშნული თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან შვიდ წლამდე ითვალისწინებს.

დავით პეტრიაშვილს მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავა როგორც ქართულ, ისე უცხოურ ფეხბურთში. პეტრიაშვილი უეფას და ფიფას მატჩების დირექტორი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, თბილისის დინამოს ყოფილი მმართველი დირექტორი გახლდათ. თბილისში მომხდარმა ტრაგედიამ, პეტრიაშვილი 46 წლის ასაკში იმსხვერპლა.

იგი ყოველთვის იყო ქართული ფეხბურთის მხარდამჭერი, საქართველოს ელჩი უეფაში, რომელიც ძალღონეს არ იშურებდა ქართული ფეხბურთის წინსვლისა და განვითარებისათვის.

ამ ტრაგედიის გამო, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ წლის ბოლომდე დაგეგმილი ყველა ღონისძიება გაუქმებულია.

**მ. ჟ.**

## იგორ კოკოშკოვმა საქართველოს ნაკრები დატოვა



საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იგორ კოკოშკოვმა თანამდებობა დატოვა.

მან ღია წერილით მიმართა საქართველოს საკალათბურთო საზოგადოებას, რომელშიც საქართველოს ნაკრებს ყოველივე საუკეთესოს უსურვებს.

იგორ კოკოშკოვი საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი 2008 წლიდან იყო. მისი ხელმძღვანელობით, საქართველოს ნაკრებმა სამ ევრობასკეტზე (2011, 2013 და 2015 წლებში) ითამაშა.

იგორ კოკოშკოვის ღია წერილთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ.

– ჩემი აზრით, მას ამით სურდა ჩვენთვის ეთქვა, რომ ფედერაცია თავისუფალი ყოფილიყო მწვრთნელის არჩევაში – ეს იქნება იგორი თუ სხვა სპეციალისტი. არ გამოვრიცხავთ, რომ იგი კვლავ მოისაზრებოდეს კანდიდატად, ეს იგორთან საუბრის შემდეგ საბოლოოდ გადაწყდება. ჩვენ ვფიქრობთ სხვა მწვრთნელებზე. იგორის გარდა, არის კიდევ 3 კანდიდატი და მომავალი გვიჩვენებს, რომელ მათგანთან გადავა მოლაპარაკება უფრო კონკრეტულ ფაზაში.

**მ. ჟ.**

## ბლატერს და პლატინის ფეხბურთში საქმიანობა 8 წლით აუკრძალეს

ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერს და მის ევროპელ კოლეგას, უეფას თავკაც მიშელ პლატინის 8 წლით ფეხბურთთან დაკავშირებულ აქტივობებში მონაწილეობა აეკრძალათ.



ფიფას ეთიკის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით პლატინსა და ბლატერს რვა წლის განმავლობაში ფეხბურთში მოღვაწეობის უფლება ჩამოერთვათ.

ეთიკის კომიტეტის განცხადებაში აღნიშნულია, რომ მხარეთა მტკიცებულებები, რომლის თანახმად, 2 მილიონი შვეიცარიული ფრანკის ოდენობის თანხა რამდენიმე წლის წინ პლატინის მიერ შესრულებული საკონსულტაციო სამუშაოების ანაზღაურება იყო, არადამაჯერებლად ცნეს. გარდა ფეხბურთიდან ჩამოშორებისა, ბლატერი 50.000 შვეიცარიული ფრანკით დაჯარიმდა, პლატინის კი 80.000 ფრანკის გადახდა დაეკისრა.

მიშელ პლატინი მონაწილეობას ვერ მიიღებს 2016 წლის 26 თებერვალს დაგეგმილ ფიფას საპრეზიდენტო არჩევნებში.

**მ. ჟ.**

## მანჩესტერ იუნაიტედი ვან გაალის გათავისუფლებაზე სერიოზულად დაფიქრდა



მანჩესტერ იუნაიტედმა ბოლო რამდენიმე შეხვედრა წააგო და გუნდის ფანები საგონებელში არიან ჩავარდნილი შექმნილი მდგომარეობის გამო.

ბევრი მათგანი ამ ყველაფერს ლუი ვან გაალს აბრალებს და დაუყოვნებლივ ითხოვს მის განთავისუფლებას.

როგორც ჩანს, მანჩესტერის ხელმძღვანელობაც იმავე აზრამდე მივიდა და თუ ინგლისურ პრესას დავუჯერებთ, მათ ჰოლანდიელ სპეციალისტს ულტიმატუმი წაუყენეს, რომლის მიხედვითაც, მანჩესტერმა შემდეგი ორი შეხვედრა აუცილებლად უნდა მოიგოს. თუ ეს ასე არ მოხდება, ვან გაალს მოხსნიან.

შემდეგ ორ მატჩს, მანჩესტერ იუნაიტედი სტუმრად სტოკ სიტისთან და საკუთარ მოედანზე ჩელსისთან ჩაატარებს.



## იუმორი

●●●

დირექტორი თანამშრომელს ეკითხება:

– როგორი ანაზღაურების მიღების იმედი გაქვს?

– აუუ, ეს სულ ჩემია?

●●●

ცოლ-ქმარი ბარში მაგიდასთან სხედან. ცოლი ქმარს ვიღაც მამაკაცზე ანიშნებს და ეუბნება:

– აი, იმ ყმაწვილს შვიდი წლის წინ დავშორდი და მას შემდეგ სულ სვამს.

– კარგი რა, ასე დიდხანს არავინ ზეიმობს!

●●●

გამოცდაა საგზაო მოძრაობის წესებში. გამომცდელი ერთ-ერთ გამოსაცდელს ეკითხება:

– გზაჯვარედინია. აქ თქვენ ხართ, აქ ავტობუსი დგას, აქ სატვირთო მანქანა, აქ მოტოციკლეტი. პირველი რომელი გაივლის?

– ტაქსი.

– რატომ ტაქსი და საიდან გაჩნდა აქ ტაქსი?!

– ეშმაკმა იცის მაგათი თავი, საიდან გამოტყვრებიან ხოლმე.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ადრე თავს ბედნიერად გრძნობდი, როდესაც დღეში რამდენიმე წუთით თვალს შემავლებდი!

– მერე, რა გინდა, ახლაც მასეა...

●●●

ექიმი მამაკაცს გამოკვლევის შემდეგ ეუბნება:

– ჰოო, მარჯვენა ფილტვი უნდა ამოგაჭრათ!

– რას ამბობთ, ექიმო, ფილტვებზე პრობლემა არასოდეს მქონია!

– ფილტვები ახლაც წესრიგში გაქვთ, უბრალოდ, ღვიძლი აღარ ეტევა!

●●●

გოგონა ბიჭს ეუბნება:

– თქვენ, მამაკაცები, უხეშები ხართ! მხოლოდ სექსი გინდათ! ჩვენ, გოგონებს კი ყურადღება გვჭირდება...

– კარგი... ყურადღება!!! ახლა იქნება სექსი!

●●●

მასწავლებელი გიგის ეუბნება:

– აბა, გიგი, კლასელებს მოუყევი, როგორ მრავლდებიან ჭიაყელები?

– დაყოფით, მასწავლებელო.

– კონკრეტულად როგორ?

– ნიჩბით.

●●●

მამაკაცი ექიმთან შედის და ეუბნება:

– გამარჯობა, უფასო ექიმო.

– გაგიმარჯოს, მოურჩენელო ავადმყოფო.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– წუხელის ეროტიულ სიზმარში გნახე.

– მართლა? და რას გიკეთებდი?

– მოხვედი და ყველაფერი გააფუჭე.

●●●

ბოლო სტატისტიკური მონაცემების თანახმად, პარლამენტართა ათი პროცენტი ჰომოსექსუალისტია, ხოლო საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის თანახმად – ასი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**